საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 28 მარტი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე — ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ნეკროლოგისთვის ზომით 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ხელნაწერები არ დაიბრუნება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კონსტიტუციის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის შე-12-თან. ტელეფონი 16—62

№ 70 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების № 70

უნუგეშო და გულდაწყვეტილი ნატალია სპირიდონ ქუთათელაძის ასული გრიგოლაშვილი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ, რომ 28 მარტს დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის ავიატორის კაპიტან

პავლე ათანასეს ძე გრიგოლაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 ს. მიცვალებულის საფლავზე (1096 2—2)

დრმად დამწუხრებული ევა მექსიმეს ასული და ნიკოლოზ გრიგოლის ძე ჯავახიშვილები შვილებით, შვილიშვილებით, რძლებით და სიძეებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 28 მარტს, 1920 წ. სოფ. ძეგვრაში (გორის მაზრა) გადახდილ იქნება საგვარეულო სასაფლაოზე წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ შვილისა

დავით ნიკოლოზის ძის ჯავახიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1099 1—1)

სამუდამოდ გაშავებულნი და გულდაწყვეტილნი მშობლები: მართა და ანდრო, მეუღლე მტირალი და სიცოცხლე მოსპარი ძმები: აკაკი, ნინა, თებრონე და კესარია ჯინჭარაძეები, ბიძაშვილი სოლომონ მიქელაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 18 მარტს (ახალი სტ.) შესრულდა ერთი წელიწადი მათი საყვარელი და ერთად ერთი ნუგეშის

ილიკო ანდრიას ძის ჯინჭარაძის

გარდაცვალებიდან. (7108 1—1)

გულდათუთქულნი მშობლები მაკრინე და მარიტონ ჩოხაძენი, დები ნატალია ანთაძისა და ეკატერინე ფაშაკიძისა და სიძეები გერასიმე ფაშაკიძე და ივანე ანთაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ დაკარგვას ძვირფასი და დაუვიწყარის

ტასოს

რომლის გამოსვენება მოხდება კვირას 28 მარტს საკუთარი სახლიდან დილის 10 ს. ეკატერინის ქ შესახვევი № 5, (საზამთრო მოედნის ახლოს) მე-5 ფუნიში წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე, საიდანაც წირვის შემდეგ დაკრძალვა პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში. (1104 1—1)

სახალხო განათლების სამინისტრო

ამით აცხადებს

სტამბებისა, ლიტოგრაფიებისა, მეტალოპლასტიკისა და ყოველგვარ საბეჭდავი ნაწარმოების პატრონთა საყურადღებოდ, რომ თუ ისინი სავსებით არ დაიცავენ დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 16 დეკემბერს მიღებულ კანონს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მთავრობისადმი წარდგენის შესახებ და ამას გარდა დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ერთი კვირის განმავლობაში არ წარმოადგენენ კანონის გამოქვეყნების შემდეგომ მათ საბეჭდავიდან უკვე გამოსულ ბეჭდვითი ნაწარმოებებს 12 ცალად და ყველადაც გამოცემისთანავე გასასვლელად გამოსვლამდე არ წარმოადგენენ თავიანთ ნაბეჭდს—მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში კანონში მოხსენებულ მე—5 მუხლის თანახმად (3.000 მანეთით ჯარიმა ან სამი თვით ციხე). (ნ. 1—1).

მე-6 რაიონული კოლექტივი

კვირას 28 მარტს, დილის 10 საათზე, ამავე რაიონის მუშათა პოლიტიკურ კლუბის შენობაში (ბებუთოვის ქუჩა № 22) დანიშნულია

საზოგადო პარტიული კრება

სადაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. სეით დევდარიანი თანამედროვე მომენტზე.

ქალაქთა კავშირი საქართველოს რესპუბლიკისა

სამშაბათს მ. წ. 6 აპრილს დილის 9 საათზე ქალაქთა კავშირის ცენტრალური სახელოსნოების საწყობში (ანდრონიკოვის ქ. რკინის გზის სავაჭრომუშის პირდაპირ)

სიტყვიერ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

„თბოშის" მასალები, ცხენის მოხართავი ხაგნები სხვადასხვა ხის ნივთები და სხ. ნივთების სიის ნახვა შეუძლია მსურველს ქალაქთა კავშირის ცენტრალურ საწყობში ყოველ დღე დილის 9—3 საათ. (მადათოვის ქ. № 48) (ნ. 2—1)

გალაქტიონ ტაბიძის

მეორე

=საღამო=

სახელმწიფო თეატრში

გაიმართება

ოთხშაბათს, აპრილის 7. ბილეთები დღეიდანვე იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში.

მიიღეთ ახუცეთსა ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

შემოწმებული თფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.

(ყვითელი, ფრანგული ჯიშის)

„დ. დ. დეკანოზიშვილის" ფირმისა.

დუშეთის ქუჩა, № 22, ბინა მექანარიშვილისა. (1028 3—3)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს თფილისის მებოსტნეობის

პრაქტიკულ სკოლაში მიიღება

დაკვეთა ყოველგვარი ბოსტნეულის ნერგებზე

მისამართი მეტეხის შესახვევი № 4. სკოლის გამგე გ. თოფურიძე. (ნ 6—3)

ექიმი ბ. ი. ოქრომჭედლიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ო.).

ჩრდილოეთის მაგალითი

ამ ორ წლიწადში საქართველომ გაიარა ძნელი გზა. დაამარცხა აუარებელი დაბრკოლებები, ააშენა და შეინახა ისეთი დემოკრატიული წეს-წყობილებები, რომელიც არ არის არც ერთ ქვეყანაში—არც მოწინავეში, არც ჩამორჩენილში. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ აქ გაატარა თავისი ხაზიც და თავისივე დროშის ქვეშ შემოიკრიბა ხალხის დიდი უმრავლესობაც. პარიზის კომუნის შემდეგ ეს პირველი მაგალითია ისტორიაში, როცა დიქტატურას მიეცა ეროვნული სარჩული, როცა ის დამყარდა ხალხის ნებაზე. ბოლშევიკებს რომ ასე მოეწყოთ თავისი მთავრობა, მაშინ აღარ დასჭირდებოდათ საშინელი ძალდატანებითი ზომები უმრავლესობის წინააღმდეგ. ვერც ერთი ბურჟუაზიული მთავრობა ვერ შეედრება ამ მხრივ ბოლშევიკებს.

ორნაირი დიქტატურა—ბიუროკრატიული და დემოკრატიული ახლა უპირისპირდება ერთი მეორეს. ჩვენ პარტიას მართებს დიდი სიმტკიცე ნაცად გზაზე. უნდა შეინახოს ერთსულოვნება გარეშე და თავისი პრინციპებიც არ შელახოს, უნდა აიცილოს თავიდან ის, რაც მოუვიდათ ბოლშევიკებს. ამათ გაიტაცეს სოციალისტური მსოფლმხედველობა შეუგნებელ ხალხზე გავლენის მოსაპოვებლად, ბოლოს ვერც ხალხი დააკმაყოფილეს, ვერც თავის პრინციპების მიხედვით და ვერც დაიცვეს ერთსულოვნება.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია აქამდის მიმზიდველი მაგალითი იყო ამ მხრივ. ბოლშევიზმი, ამიტომ აქ უფრო დიდ მტერს ხედავს, ვიდრე დენიკინ-კოლჩაკის ფრონტზე ხედავდა. ის გაიმარჯვებს, თუ ჩვენ ხალხს ავყოლიებს და თავისი გზით დააწყებინებს სიარულს.

გაიმარჯვებს, თუ დაირღვა ჩვენში დღემდის ნაქები ერთსულოვნება. ამის დაცვა, რა თქმა უნდა, მოითხოვს დიდ შეგნებას, დიდ დისციპლინას, გარეშე პირობებისთვის ანგარიშის გაწევას.

აქეთ-იქიდან ისმის უკმაყოფილება. ხალხი, მეტადრე მუშათა კლასი აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. დღევანდელი ხელფასით ის ვერ უმკლავდება ცხოვრების სიძვირეს, რომელიც უფრო და უფრო მატულობს. შიმშილით შეწუხებული და იმავე დროს პოლიტიკურათ გამოფხიზლებული ეძებს მიზეზს, დამნაშავეს. გონია, რომ ვისაც ძალა ხელში აქვს, ის რომ მოინდომებდეს, ახლავე გამოასწორებდა მდგომარეობას. შეუგნებელ წრეებში ამნაირ დამნაშავეთ მიაჩნიათ მთავრობა, მისი ეკონომიური პოლიტიკა. ეს წრეები ამ ნიადაგზე ადვილათ ექცევიან ბოლშევიკურ ქსელში. ფიქრობენ, იქ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, იქ მუშათა კლასს არაფერი აკლია, რადგან საბჭოთა მთავრობა მოურიდებლათ ებრძვის ბურჟუაზიას და სპეკულიაციას.

ასეთ ფიქრებში არის მართლა გაუგებრობა, სხვა არაფერი. ბოლშევიკების „ეკონომიური პოლიტიკა" იქ მართლა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი ზედაპირული არსენალით მდიდრებს ართმევს და ღარიბებს აძლევს. არსებულმა პოლიტიკამ ვერ მოსპო რუსეთში ვერც ბურჟუაზია და ვერც სპეკულიაცია. პირიქით, სპეკულიაციით რუსეთს სული ამოხდომილი აქვს. სპეკულიაციას ეწევიან თითონ თვითმპყრობელი კომისრები. სპეკულიაცია იქ სახელმწიფოს ერთ-ერთ ბურჯათ გადაიქცა. იქაური „ეკონომიური პოლიტიკიდან" ჩვენ ვერაფერს ვისწავლით, ვერაფერს ვისესხებთ.

ბოლშევიკებს სოციალიზმი აღარ ჰქონდათ მხედველობაში, როცა ამ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ისინი ემსახურებოდნენ მარტო ნაკლებ განვითარებულ, ან სულ რუსი მუშების ინტერესებს. ასეთი მუშა იქ შეადგენს უმრავლესობას. ის რევოლიუციაში გამოვიდა, როგორც მუშა, არ ჰქონდა იმდენი შეგნება, რომ მოქალაქეთაც გამოსულიყო. ფიქრობდა მარტო თავის თავზე, სახელმწიფოზე კი არა. სახელმწიფოს შეძლება არ ეთანხმებოდა ამ მუშის ეკონომიურ მოთხოვნებს. მოთხოვნა დიდი იყო, შეძლება კი ბევრით ნაკლები. სახელმწიფოს ქონებრივი წყარო ილეოდა ყოველ კუთხიდან. მაღალი ომის გამო მუშაობა ყველგან ჩერდებოდა, წარმოება ეცემოდა. თითონ მუშებიც ნაკლებათ მუშაობდნენ. მათი შრომის ნაყოფიერება სულ ძირ-ძირ ეცემოდა, მოთხოვნა მაღლა-მაღლა იწევდა. სხვაფრივ არ გაგვეგებოდათ რევოლიუცია და ამ გაუგებრობამ გაჰყვა უკან ლენინის მთავრობა. ამით დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე პარტიები და, სხვათა შორის, მუშათა პარტიაც.

სახელმწიფოს გამოეცალა ამიტომ ეკონომიური საძირკველი. დაეცა და ეს დაცემა დაეტყო იმავე მუშათა ინტერესებს. დღეს ისინი განიცდიან იქ ყველაზე მეტ გაჭირვებას. ვინც ბოლშევიკურსავე ცნობებს თვალს ადევნებდა, ეცოდინება, რომ დღევანდელ რუსეთში მუშები ჯოჯოხეთურ პირობებში არიან როგორც მოხმარების, ისე სამუშაო დროის მხრივ.

ვერაფერს გადმოვიღებთ მათგან, თუმცა ზოგიერთ წრეებში იქნება იმედი აქვთ, გაუკეთესდება ჩვენი მდგომარეობა, თუ ჩვენც ბოლშევიკურათ ვიმუშავებთ. ბოლშევიკების შემოსვლა არ უნდათ, მაგრამ, შეიძლება უნდათ, რომ ჩვენმა მთავრობამ თავისი ეკონომიური პოლიტიკა ჩრდილოეთის რელსებზე გადაიყვანოს. ჩრდილოეთის მაგალითი საგულისხმოა ჩვენთვის მხოლოდ ერთი შეხედულებით. ის გვიჩვენებს, როგორ არ უნდა ვიმუშაოთ. ვაი იმ წრეს, იმ პარტიას, კლასს, რომელიც კერძო ინტერესებს საზოგადო ინტერესებზე მაღლა აყენებს.

ჩვენ პარტიას, ჩვენ მუშათა კლასს არ ეცხებით ამნაირი ბრალი. ჩვენი მუშა ყოველთვის თავისი კლასის წევრიც იყო და იმავე დროს მოქალაქეც. ასე შეხამებული ორნაირი გრძნობა სარჩულად დაედო იმ სულიერ სიმტკიცეს, რომელიც გამოიჩინა მთელმა აქაურმა დემოკრატიამ ამ ორი წლის განმავლობაში. თუ ახლა ეს სიმტკიცე შეირყა, მაშინ დემოკრატიული წესწყობილების საძირკველიც შეირყევა.

რა თქმა უნდა, მუშათა ორგანიზაციებმა, მთავრობამ ყოველნაირი ღონისძიება უნდა იხმარონ შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ. მაგრამ მუშებმაც და მთავრობამაც ამ გზაზე ანგარიში უნდა გაუწიონ ხალხის ერთ მთავარ საკითხს. უნდა გაიგონ, დააზიანებს თუ არა მთელ ეკონომიურ სხეულს მისი ერთი ნაწილის სხვანაირ პირობებში ჩაყენება. მუშათა კლასი ნაწილია იმ ერთი სხეულის, რომელსაც ქვია დემოკრატიული სახელმწიფო. ვთქვათ დღესვე გაუმჯობესდა მუშათა მდგომარეობა ისე, როგორც მუშები მოითხოვენ, და ვთქვათ ეს ვერ აიტანა სახელმწიფომ. მაშინ ის მოიშლება, შეჩერდება მისი ეკონომიური სახსრის ბრუნვა. საბოლოოთ ეს გამანადგურებელი იქნება იმავე მუშათა კლასისთვის.

ასე მოხდა რუსეთში, სადაც მუშას ახსოვდა მარტო თავისი ინტერესი და სულ არ ფიქრობდა მთელი რუსეთის ინტერესებზე.—მე თუ არ ვიქნები, ქვაქვაზედაც ნუ დარჩენილა, ამბობდა. ამან დაანგრია რუსეთის ეკონომიური სხეული, და ნანგრევებში ჩაყარდა თითონ მუშაც, ჩვენ მუშას აქამდის არ მიუბაძავს ჩრდილოეთის შეუგნებელ მუშისთვის. ვერც აწი მიბაძავს.

დამფუძნებელი კრება

26 მარტის სხდომა.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე.

იგ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა რესპუბლიკის ფოსტა ტელეგრაფის, ფოსტის და ტელეფონის ადგილობრივი დაწესებულებათა შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ და დეკრეტის ფოსტა-ტელეგრაფის ნიხრის გადიდების შესახებ.

ი. ხადაკაია მოახსენებს დეკრეტს თფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს გაუქმებისა და საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს დაარსების შესახებ. დეკრეტი სოც.-დემ. ფრაქციის შესწორებებით უკამათოდ იქნა მიღებული.

იგ. გომართელი მოახსენებს კრებას დეკრეტს მიგდებულ ბავშვთა თავშესაფრის დაარსების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღემდე არსებული ოლღას ინსტიტუტიდან მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარი არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თანახმად ამ დეკრეტისა უნდა დაარსოს მიგდებულ ბავშვთათვის ცალკე თავშესაფარი, რომლისათვისაც საჭიროა ორი ექიმი, ფერშლები, ძიძები, მომვლელები და სხვა. წარმოდგენილი დეკრეტი ხარჯთ-აღრიცხვით უკამათოდ იქნა მიღებული.

ვ. ცაბაძე მოახსენებს კრებას დეკრეტს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" სავალდებულო განცხადებისათვის დაწესებულ ფასის გადიდების შესახებ. თანახმად ამ დეკრეტისა მთავრობას ეძლევა უფლება შეიმუშაოს ახალი ნიხრი სავალდებულო განცხადებისათვის და საჭიროებისამებრ შეცვალოს ეს ფასები.

ნ. ამნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა შემდეგი დეკრეტები: ბათუმის ქართულ გიმნაზიისათვის ერთდროულ დახმარებად 260 000 მან. გადადების შესახებ; დეკრეტი საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამზადებელ სადგურისათვის ს. ტაბახმელაში მელიქიშვილის მამულის შესაძენად 1,060000 მ. გადადების შესახებ; დეკრეტი სახალხო სკოლის მასწავლებელთა ხუთ წლიურ მომატების დასაკმაყოფილებლად 4,193 333 მან. გადადებისა; დეკრეტი პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისათვის მოკლევადიან კურსების დაარსების და სამისოდ 240,000 მან. გადადებისა; მისივე მოხსენებით განიხილეს კანონ-პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სასანიტარო განყოფილების, ვეტერინარო პერსონალის და შრატის დამამზადებელი სადგურის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ქ. ნინიძეს მოხსენებით უკამათოდ მიიღეს კანონ პროექტები: სასჯელთა წიგნების და სასჯელთა დებულების ჯარიმის გადიდების შესახებ; მომრიგებელ სასამართლოს დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოების შესახებ.

ი. ხადაკაიას მოხსენებით ზოგადად განხილულ იქნა კანონ პროექტი ქუთაისში მე-2 ხარისხის საბაჟოს დაარსების შესახებ.

იგ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ფოსტის გადაზიდვის ხარჯის დასაფარავად 4,034,304 მ. და 92 კ. გადადებისა, დეკრეტი საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის მოსაწყობად 9,786,000 მან. გადადებისა და იმავე საჭიროებისათვის 291,251 მ. და 40 კაპ. ღირებულ მასალის მიცემის შესახებ.

გრ. გიორგაძის მოხსენებით ზოგადად განხილულ იქნა კანონ-პროექტი საპყრობილეთა შტატის და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცების შესახებ; მისივე მოხსენებით უკამათოდ მიიღეს დეკრეტი სამხედრო სასამართლოს და ბრალმდებლის ზედამხედველობის დროებითი შტატის და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცებისა.

გაგნიძის მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი გზათა უწყების მოსამსახურეთათვის დღიური სარგოს ნორმების შეცვლისა.

ვ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტები: მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში სამეურნეო იარაღისა და მასალის შესაძენად 1,140,000 მან. გადადებისა. მისივე მოხსენებით მოხდა მეორე მუხლობრივი განხილვა კანონ პროექტისა შრომის სამინისტროს შტატისა და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცების შესახებ და კანონ პროექტი გზათა დეპარტამენტის ცენტრალური ორგანოს შტატის გადიდების და ჯამაგირის ნაწილობრივად მომატების შესახებ.

ნ. ამნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ.

ხადაკაიას მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ-პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატისა და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცებისა.

ელიაშვილის მოხსენებით მიიღეს კანონ პროექტი სახაზინო რკინის გზის ქიათურის შტოზე განსაკუთრებულ ტარიფის მოსპობის შესახებ.

მ. ტოროშელიძის მოხსენებით მიიღეს დეკრეტი სვანეთის სამკურნალო დაწესებულებათა შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

ქ. ნინიძის მოხსენებით მიიღეს დეკრეტი მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 551,333 მან. გადადებისა აჭამეთის სარწყავი არხის შესაკეთებლად.

საფრანგეთი და ინგლისი

ლოიდ ჯორჯის მიერ თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვის გამო რუსეთის საკითხის შესახებ ფრანგული გაზ. „ტემპსი" შემდეგს სწერს:

„პოლიტიკა, რომელსაც ლოიდ-ჯორჯი ემხრობა, დაფუძნებულია ორს წინადადებაზე. პირველი: რუსეთს შეუძლია ექსპორტისთვის საკმაო პროდუქტის გაცემა, დასავლეთ ევროპაში ცხოვრების დასაიაფებლად. მეორე: თუ რუსეთი შეუდგება სავაჭრო გაცვლა გამოცვლის საქმეს, ბოლშევიკური იარები მყისვე გაჰქრება.

დასკვნა: უნდა გავმართოთ რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება და ჯერ არ შევურიგდეთ საბჭოთა რუსეთს.

ლლოიდ ჯორჯი არ ამბობს, რომ ეს არასდროს არ გამართავს მოლაპარაკებას ბოლშევიკებთან, მაგრამ მას უნდა, რომ ბოლშევიკები ჯერ გამოსწორდნენ; „სანამ ჩვენ არ დავრწმუნდებით გამოცდილებით, რწმენით, რომ რუსეთის მთავრობამ უარი სთქვა თავის ბარბაროსულ მეთოდებზე და განაგებს ცივილიზაციურ საშუალებით, მანამდე ვერც ერთი განათლებული სახელმწიფო ზავით არ შეეკვრის ბოლშევიკებს".

ლოიდ-ჯორჯის პროგრამის ჯამის ფორმულა ასეთია:

სარგებლობა ბოლშევიკებით ბოლშევიკებზე გამარჯვებისთვის. ეს ოპერაცია ერთ დროულად უნდა იქმნეს შესრულებული დასავლეთსა და რუსეთში.

დასავლეთში მიიღებენ ბლომათ ხორბალს, სელს, ტყავს, კანაფს და რუსეთის სხვა პროდუქტებს. ფასები დაიწევს. ამით კომუნისტურ საზოგადოებაში განვითარდება კერძო ინტერესები. ეს ინტერესები გაძლიერებისთანავე დიდ წესიერებას და დიდ თავისუფლებას მოითხოვენ.

„მე ვფიქრობ, ამბობს ლოიდ ჯორჯი, რომ რუსეთს გადავარჩენთ ვაჭრობის საშუალებით, ვაჭრობა ბოლოს მოუღებს ძარცვას და საქმეთა საერთო მდგომარეობას საბჭოთა რუსეთში. ამ რიგად, საბჭოთა მთავრობა, გაამაყებული ამ გარემოებით, რომ მან მიაღწია ბლოკადის მოხსნას, უნდა განადგურდეს თავისივე გამარჯვებით.

ასეთია ლლოიდ ჯორჯის თეორია. არ შეიძლება უარვყოთ, რომ ის გონების სიმახვილით გაირჩეოდეს. შეიძლება დავურთოთ, რომ იგი იმდენათ არ არის შეწონილი ბოლშევიზმთან ბრძოლისთვის. იმ დღიდან, რაც გირვანქა სტერლინგმა დოლლართან შედარებით დაჰკარგა თავისი ფასი, ინგლისი მძიმე ხარკს უხდის შეერთებულ შტატებს.

მას სურს ამ ხარკიდან განთავისუფლდეს. ის ეძებს პურისა და ნედლი მასალის სხვა მოიჯარადრეს. მას უნდოდა იგი ეპოვა რუსეთის სახით, სადაც სტერლინგების გირვანქას დიდი ფასი აქვს. კორიდან ლიტვინოვი მომხდარ ამბების გასაგებათ უნდა ვაცოდეთ, რომ დღეს ინგლისი და შეერთებული შტატები არიან ორი უდიდესი სავაჭრო და კომერციული სახელმწიფოები მთელს დედამიწაზედ. გვრჩება გასაგებად მტკიცდება თუ არა ლოიდ-ჯორჯის თეორია ფაქტებით. არ შეიძლება საყვედური მისთვის, რომ იგი დამყარებულია ვარაუდებსა და დაშვებაზე, რადგან ეს ვარაუდები იმდენად არის პოლიტიკის პროგრესისათვის საჭირო, რამდენადაც მეცნიერების პროგრესისათვის ჰიპოთეზა.

მაგრამ უსაცილოდ საჭიროა დარწმუნება ვარაუდების ღირებულებაში.

დღეს

მუშებისადმი მიმართულ მოწოდებაში ებერტი ურჩევს მათ უარი სთქვან გაფიცვებზე და შეუდგენ სამეურნეო ცხოვრების აღდგენას.

ფრანგული პრესის ცნობით რურის ოლქში ჯარების შეყვანის ნებართვა გერმანიას არ მიეცემა.

ელჩთა კონფერენციამ ლონდონში განიხილა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ის ადგილი, რომელიც სომხეთს შეეხება.

სამხრეთ უელსის ნახშირის მრეწველებმა განაცხადეს, რომ მუშათა ხელფასის 3 შილინგით გადიდება შემოსავლის კონფისკაციას უდრისო.

ბოლშევიკების ცნობით ბუქარესტში აღმოჩენილ იქნა უნგრელთა შეთქმულება.

შეუძლიან თუ არა რუსეთს საქმით ნედლი მასალის მიწვდენა დასავლეთ ევროპის ცხოვრების გასაიაფებლად? გადასაჭრელია სამი საკითხი; საკითხი წარმოებისა, საკითხი სყიდვისა, საკითხი ტრანსპორტის.

თუ რუსეთში პურით ინდივიდუალური მოხმარება ესწრაფება აწევას,—საეჭვოა, რომ რუსეთის ხორბალმა არჩინოს დასავლეთი ევროპა. ამასთანავე არსებობს თუ არა საკმაო რაოდენობა ხორბლისა, ან დასთმობენ თუ არა მას მწარმოებლები, რასაკვირველია ამას საბჭოები თავს ვერ უპასუხიან. მოსკოვის სასურსათო კომიტეტმა ამას წინად აღრიცხა 34 მილიონი ფუთი სათადარიგო პური, რომელიც მან შეკრიბა; და ეს იყო პური, დანიშნული უპირველესად ეროვნულ მოხმარებისათვის. ბოლოს, გარდა წარმოებისა და შეძენის გადაწყვეტის, რჩება ტრანსპორტის საკითხი. ეს საკითხი შეეხება არა მარტო პურს, არამედ ყოველ საგნებს გატანა-გამოტანაში.

რანაირ მდგომარეობაშია იგი.

ბოლშევიკური რადიო ტელეგრამები ყოველდღიურად აღწერავენ ორთქლმავლების, რკინის გზის სადგურების განახლება-შეკეთებას. რამდენადაც ჩვენ შეგვიძლიან ვიმსჯელოთ, ეს მუშაობა არის დემოკრატიულ აგიტაციის ხასიათისა, რაც არა ჰგავს მეტოდიურ ექსპლოატაციას. მაგრამ შეიძლება არც არის საჭირო გაჩერდეთ ამ ფორმალურ დეტალებზე.

როცა პეტრე დიდმა თვითონვე ქალაქში გამოაცხადა მეწარმეებს, რომ მათი ნაწილი უნდა ჩასულიყო მოსკოვს ინგლისელ გემების ტეხნიკის შესასწავლად, ან და კატორღაში, რასაკვირველია, ამ განცხადებას ჰქონდა თეატრალური ხასიათი; ამავე დროს კი ისტორია გვასწავლის, რომ ამ გზით გაფართოვდა ფეხსაცმლის წარმოება. დღეს, როდესაც ბოლშევიკები ჰმართავენ „ტრანსპორტების კვირას“ ანუ „კომუნისტურ შაბათს“, ისინი თავიანთ სამწყსოსათვის უკვე ინგლისურ ღონისძიებას აღარ ხმარობენ.

ეს უფრო გერმანული მეტოდებია, რადგან ეს კვირეები და შაბათები საოცრად გვაგონებენ იმ საშუალებებს, რომლითაც ომის დროს გერმანეთის მთავრობა ცდილობდა თავის ხალხისთვის გამოერთმია დამატებითი ძალა. მაგრამ ამ განსხვავებით ლენინის მეთოდები ანალოგიურია.

იმ დღეს, როცა რუსეთის რკინის გზები მოქმედებას დაიწყებენ, ცოტათ თუ მეტათ ნორმალურათ, კომუნისტური პროპაგანდისა და წითელ ტერორის წყალობით, რუსეთი, რასაკვირველია, თავის განკარგულებაში მიიღებს საზღვარ გარეთიდან ევროპისთვის საჭირო იარაღებს; მაგრამ ამასთანავე, თავის განკარგულებაში მიიღებს იარაღსაც, საჭიროს მისთვის, რომ დაიმონოს რუსეთის ტერიტორია და ჯარების გასაგზავნათ მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ეს არ იქნება დაცემა ბოლშევიზმისა, როგორც ფიქრობს ლოიდ-ჯორჯი, ეს იქნება უფრო დაფუძნება ახალ ავტოკრატიულ და იმპერიალისტურ სახელმწიფოსი.

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკებს არ შეუძლიანთ ამგვარ შენობის აგება, რომ მათი რეჟიმი განწირულია ანარქიისთვის? შესაძლებელია, მაგრამ იმ შემთხვევაში, როგორ შესძლებს გააფართოვოს წარმოება, გამართოს ექსპორტი, აღადგინოს ტრანსპორტი,—მოკლედ, აღადგინოს ის [illegible], რომლის იმედიც აქვთ როგორც „რუსეთის ბინის“ საშუალებისთვის? როგორც სჩანს ლოიდ ჯორჯის იპოტეზები მეტად საეჭვოა, ამასთანავე ჩვენ არ შევეხებით იმ დამოკიდებულებათ, რომლებიც კი არსებობენ კოოპერატივებსა და საბჭოთა შორის და რადიოტელეგრაფის კორესპონდენციების იმ გამომჟღავნებლობას, რომელიც ამ ჟამათ [illegible] მოსკოვში ბოლშევიკურ სადგურისა და ინგლისურ სადგურის შორის კარნარვონში. ინგლისელებს და ფრანგებს გვმართებს [illegible]: რუსეთის საკითხი სავსეა მრავალ წინასწარ განუჭვრეტელ შესაძლებლობით და, შეიძლება, შორეულ [illegible] ეს არის კიდევ ერთი მეტი საბაბი ჩვენს შორის მტკიცე ერთობის დაცვისა.

ბათუმის გარშემო

ფოთის მოქალაქეთა მრავალ-რიცხოვანმა მიტინგმა მიიღო რა მხედველობაში, რომ ბათუმი და მისი ოლქი ისტორიულად, ეტნოგრაფიულად, ეკონომიურად და სტრატეგიულად საქართველოს განუყოფელ, უდავო ნაწილს შეადგენს და რომ ეს ქალაქი—საქართველოს დემოკრატიის შექმნილია და მისი ოლქი ჩვენი წინაპართა სისხლით გაპოხიერებული, მათი ძვლებით მოკირწყლული და მათ კულტურული მუშაობით აშენებული და რომ ეს ქალაქი და ოლქი ყოველ მიზეზს გარეშე საქართველოს უნდა შემოუერთდეს, მიტინგი ქვეყნის წინაშე ერთხმად აცხადებს: ისტორიული ბორკილები ჩადებული ბათუმის და ბათუმის ოლქის დიდი სამშობლოდან ჩამოგლეჯით, ყოველივე სამართლიანობის მიხედვით განწირებულ უნდა იქნას, ვინაიდან ეს უმაგალითო აქტი უდრის უკანონობას და ქართველი ერის პატივს ბღალავს. მიტინგი მიმართავს დამფუძნებელ კრებას მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ ეროვნული უბედურების დაუყოვნებლივ თავიდან ასაცილებლად.

მიტინგის თავმჯდომარე ა. ჩახნაძე.

ცაგერიდან შემდეგი დეპეშები მოვიდა: 19 მარტს დ. ცაგერის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი და მთელი ლეჩხუმის მაზრა აღშფოთებულია. ბათუმის დღევანდელი მდგომარეობით თუ მიმდინარე წლის 13 და 14 იანვარს უზენაეს სიხარულს განიცდიდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით, ის დღეს მგლოვიარეა, რადგან ბათუმის პორტო-ფრანკოთ გამოცხადება ძირს უთხრის დამოუკიდებლობას. საქართველო და მისი ნაწილი—ლეჩხუმი ვერ შეურიგდება ამ უსამართლობას. საქართველოს მთავრობა და ერის ნების ყოფის უზენაესი გამომხატველი დამფუძნებელი კრება დაიცავენ რესპუბლიკის ინტერესებს. მთელი ერი, როგორც აქამდე, მომავალშიაც მთავრობასთან იქნება.

ლეჩხუმის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე მითაიშვილი.

— —

19 მარტს, ზემო სვანეთის მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი გამოსთქვამს თავის უსაზღვრო გულის წყრომას იმ ისტორიულ უსამართლობის გამო, რომელიც მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ ბათუმის საკითხის გადაჭრაში ჩაიდინა. ანტანტამ ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებებს ანგარიში გაუწია, საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო, მაგრამ იგივე ანტანტა ბათუმის პორტო-ფრანკოთ გამოცხადებით სთელავს საქართველოს უფლებებს, ძირს უთხრის ჩვენს პოლიტიკურ ეკონომიურ დამოუკიდებლობას. საქართველოს ხალხი, რომელმაც ბრძოლით მოიპოვა თავისი უფლება, ვერ შეურიგდება ამ უსამართლობას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია უსმინოს ერის ხმას და ყოველი გზით დაიცვას რესპუბლიკის ინტერესები. მთელი ქართველი ერი, როგორც ყოველთვის, ბათუმის ბრძოლაში მთავრობასთან არის.

თენგიზ დადეშქელიანი.

გერმანიაში

(ბოლშევიკების ცნობებიდან)

რურის ოლქში.

ლიონი. მთელ რურის ოლქში, რომელიც მუშათა ხელშია, სრული წესრიგი მეფობს. ნახშირის დამუშავება, უკვე განახლებულია.

ლიონი. 24. ელჩთა საბჭომ დაადგინა მიმართონ ებერტის მთავრობას წინადადებით რათა მან სპარტაკელებთან მოკავშირეთა მიერ მისაღები შეთანხმება მოახდინოს. თუ ებერტის მთავრობამ ვერ შესძლო ასეთი შეთანხმების მიღწევა, მაშინ მას უფლებას მისცემენ, რურის ოლქში სპარტაკელების საწინააღმდეგოდ გაგზავნოს საჭირო რიცხვი ჯარისა. თუ მთავრობის ჯარი დამარცხდა, მაშინ გენ. ფოშს წინადადებას მისცემენ მოკავშირეთა ჯარით შეუტიოს, რათა აიძულოს გერმანია ხელშეკრულობის ის პირობა აღასრულოს, რომელიც რურის ოლქიდან ნახშირის გამოტანას ეხება, რურის დასაჭერათ გერმანიის მთავრობას დასახლოვებით დასჭირდება 100,000 ჯარის კაცი. ამგვარათ, ამ ციფრს თუ მოუმატებთ რევოლუციასთან საბრძოლველად საჭირო ჯარის რიცხვს, გერმანიის არმიის საერთო რაოდენობა ხელშეკრულობის ძალით ნებართულ 200,000 კაცს გადააჭარბებს.

ებერტის მანიფესტი.

ბერლინი. გამოქვეყნებულ მანიფესტში ებერტი სწერს: „ლიუტვიცი და კაპპი მართვა-გამგეობისაგან განშორებულ იქნენ. სამეურნეო ცხოვრება, კვლავ აღდგენილ უნდა იქნეს. ამისთვის საჭიროა, მუშებმა უარი განაცხადონ საერთო გაფიცვებზე. ქვეყნისათვის მთავარი საჭიროება, ეს ნახშირის დამუშავებაა. მთავრობამ მთელის ძალით ხელი უნდა შეუწყოს მუშაობის განახლებას. მან თავის წმინდა მოვალეობათ მიაჩნია სასტიკათ დასაჯოს ხალხის მოღალატეები, რომელთაც გამოიწვიეს საერთო გაფიცვები. რეის-კანცლერის მოადგილემ, შიფფერმაც, გამოაქვეყნა მანიფესტი გერმანიის ხალხის მიმართ, რომელშიც ნათქვამია: აჯანყება ჩაქრობილია. ქვეყნის მეურნეობა კვლავ საგრძნობლად დაზარალდა. მთავრობა მოუწოდებს გერმანიის ხალხს მუშაობის გასანახლებლათ.

რკინის დივიზია.

ბერლინი. გაზეთების ცნობით თებერვლის დასასრულს ბალტიის რკინის დივიზიაში ითვლებოდა 8 ათას გერმანელზე მეტი და 5 ათასი რუსი. ბერმონტ-ავალოვის ჯარიც 15 ათასი კაცისაგან შესდგებოდა, რომლის ნაწილი ბერლინის კონტრ რევოლუციას იცავდა.

(ფრანგული ცნობებიდან)

რურის ოლქში ჯარის შეყვანის გამო.

საფრანგეთის პრესის აზრით, ნებართვა, რომელსაც ბაუერის კაბინეტი თხოულობდა რურის ოლქში 60,000 ჯარის კაცის შესაყვანათ, გერმანიის მთავრობას არ მიეცემა. საფრანგეთი, ინგლისის თხოვნით, მართლაც დასთანხმდა ამ ნებართვის განხილვაზე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ საფრანგეთი ფორმალურ გარანტიას მიიღებდა ნეიტრალურ ზონიდან გერმანიის ჯარის ევაკუაციის შესახებ, როდესაც ოლქში მშვიდობიანობა აღდგენილი იქნება. ეს გარანტია შეიცავდა გერმანიის სხვა რომელიმე პუნქტის ოკუპაციას. ინგლისელებმა არ მიიღეს ეს პირობა, როგორც მომენტის შეუფერებელი. ამგვარათ უარყოფილია გერმანელთა თხოვნაც.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

27 მარტი.

ინგლისური პრესის ცნობები.

(ბასრუდან).

ნახშირის მრეწველთა განცხადება.

სამხრეთ უელსის ნახშირის მრეწველებმა განაცხადეს: მუშათა მოთხოვნილება, რომ 3 შილინგით იქნეს გადიდებული მათი ხელფასი, ნიშნავს ნახშირის სამრეწველოებიდან დამქირავებლების შემოსავლის კონფისკაციას.

რუმინეთში.

ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინიის კრიზისი გამოიწვია მემამულეთა ოპოზიციამ იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც ყოველ გლეხს საშუალებას აძლევს თავისი მიწა საკუთრებათ მიიღოს, რაშიაც ბოლშევიზმის ნამდვილ საწინააღმდეგო საშუალებას ხედავენ.

ფრანგული პრესის ცნობები.

ინგლისის ნახშირი საფრანგეთს.

საზოგადო საქმეთა მინისტრი ტროკე და სასურსათო მინისტრის ამხანაგი ტუმირი ლოიდ ჯორჯმა ძლიერ კარგად მიიღო. ინგლისი, სთქვა მან, აძლევს რა საფრანგეთს 18 მილიონ ტონ ნახშირს, იძლევა 60 პროც. იმ რიცხვისას, რომელიც მას... (გამოტოვებულია) ნახშირის ფასი განსაზღვრულია ტონზე 75 შილინგი.

ოსმალეთის საკითხი და სომხეთი.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ელჩთა კონფერენციამ, რომელიც ხუთშაბათს ლორდ კერზონის თავმჯდომარეობით შეიკრიბა, განიხილა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც კერძოთ სომხეთს შეეხება.

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა.

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის 1920 წლ. იანვრის და თებერვლის თვის საერთო სტატისტიკა აღნიშნავს, რომ კომერციული მდგომარეობა შესამჩნევათ გაუმჯობესებულა. პირველად, დიდი ხნის განმავლობაში გატანა აღემატებოდა შემოტანას, ისე რომ, საგარეო ბალანსის დეფიციტი 1920 წლ. პირველი ორი თვეში იყო 247 მილიონით ნაკლები ვიდრე 1919 წლის ორი თვის დეფიციტი. საფრანგეთის საგარეო ვაჭრობამ მიაღწია 1344 მილიონს. ყველაზე მეტი გაიზიდა დამზადებული საქონელი. 1919 წელში გატანილი იყო 462 მილიონის საქონელი, 1920 წ. გატანილის რიცხვმა მოგვცა 1182 მილიონი. ე. ი. 150% მეტი.

მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ დიდი კამათი დაიწყო ხუთშაბათს მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლუი ბარტუს სიტყვით. ბარტუ ამტკიცებდა (მთელი პალატის აპლოდისმენტებით), რომ საფრანგეთს სურდა ვერსალის ხელშეკრულების უკლებლივ ასრულება [illegible] გერმანიის მთავრობამ როგორიც კი არ უნდა ყოფილიყო ის, ასრულებინა თავისი მოვალეობანი და დაპირებანი, რომელსაც ის ამ დრომდე გვერდს უვლიდა. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გერმანელებს ამ ჟამათ ნება არ დართონ, რომ მან რურის ოლქი ჯარით დაიპყროს.

საფრანგეთის პალატა გერმანიის და რუსეთის შესახებ.

ბარტუმ პალატაში ილაპარაკა გერმანიისა და რუსეთის შესახებ. მან განაცხადა: გერმანიამ არ გამოიჩინა ხელშეკრულების ასრულების სურვილი. ჩვენ პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ გერმანიის მიმართ, რომ მას შეეძლოს მოგვცეს სამაგიერო გადაგვიხადოს ისე, როგორც ამას ხელშეკრულება გვიჩვენებს. ჩვენ მოვალენი ვართ ვაწარმოოთ ასეთი პოლიტიკა სამართლიანობისა და ჩვენი საკუთარი ინტერესებისათვის. გერმანია ჩვენი მოვალეა და ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ იმის მდგომარეობა, ვისაც ჩვენი ვალი მართებს. მოკავშირეებმა მიიღეს ეს პოლიტიკა გერმანიის მიმართ 1919 წ. იანვრიდან ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ გერმანიამ შეასრულოს თავისი დაპირება. ჩვენ არ ჩავერევით გერმანიის პოლიტიკაში, როგორიც უნდა იყოს ეს პოლიტიკა, მაგრამ ეს კი აღვიაროთ, რომ ამ ქვეყნის მთავრობა რა სახისაც უნდა იყოს იგი ერთისა და იმავე გზას ადგია ჩვენ შესახებ. ის არ აასრულებს ხელშეკრულებას და მოითხოვს მის ხელმეორედ განხილვას. ორატორმა გაიხსენა გერმანიის წინააღმდეგობა ომის კანონების დამრღვევთა გაცემაზე, ის თავდასხმები, რომლის მსხვერპლს წარმოადგენდნენ მოკავშირეები, ნახშირის მიუწოდებლობა და იარაღის აყრის პირობების შეუსრულებლობა. შემდეგ ბარტუმ ილაპარაკა მოკავშირეთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. ჩვენ შარშან გვეუბნებოდნენ, განაცხადა მან, რომ შეერთებული შტატები ხელშეკრულების რატიფიკაციას მოახდენდა.

ბოლშევიკების ცნობები.

უნგრელთა შეთქმულება ბუქარესტში.

გაზ. „სვობოდა როსიის“ ცნობით ბუქარესტში აღმოაჩინეს უნგრელთა ახალი შეთქმულება. დაპატიმრებულია 11 მადიარი, რომელიც საბჭოთა მთავრობის სასარგებლოთ აგიტაციას ეწეოდა. აღმოაჩინეს იარაღი და პროკლამაციები.

სამხედრო ცნობა.

უკანასკნელი ოფიციალური ცნობების მიხედვით დაჭერილია მაიკოპი და გროზნი, ცნობილი ნავთის სამრეწველოებით. ნოვოროსიისკის ჩრდილო-დასავლეთით 20 ვერსზე აღებულია სტანიცა ნატუხაისკაია. ოვრუჩ კოროსტენის რაიონში კოროსტენი სარნის რკინის გზასთან ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ლეტიჩევის ჩრდილოეთით 25 ვერსზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს.

მრ. მიქაბაძის სიტყვა

წარმოთქმული დამფუძნებელი კრების 19 მარტის საღამოს სხდომაზე ბათუმის საკითხის გამო.

მოქალაქენო, შეკითხვის ავტორმა წამოაყენა ერთი ცენტრალური საკითხი, რომლის გარშემო მან უმთავრესი თავისი მოსაზრებანი გამოსთქვა. ეს არის საკითხი: თუ როგორი უნდა იყოს პოლიტიკა საგარეო საქმეთა სფეროში, და მან, როგორც თავმჯდომარემ საგარეო საქმეთა კომისიისა, თავისი აზრი გამოსთქვა და, უნდა მოგახსენოთ, რომ საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს არ აქვს გათვალისწინებული ყველა ის შედეგები, რომლებიც მოჰყვება ამა თუ იმ ნაბიჯს საგარეო პოლიტიკაში და წინადადებას აძლევს მთავრობას, რომ მან იმოქმედოს ყოველნაირ რისკით, და ამგვარად, დაადგეს ავანტიურის გზას. ასეთი პოლიტიკა მიუღებელია ჩვენთვის. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ მთავრობა ამ პოლიტიკას არ იზიარებს. დარწმუნებული ვართ, რომ ის ასეთ დიდ საკითხში ივლის ნაცადი გზით. და ისე მოიქცევა, როგორც ეს თანამედროვე პირობებს შეეფერება. ბატონებო, რაშია საქმე? ჩვენს ჯარს უნდა დაეკავებინა ბათუმი, ამბობს შემკითხველი, მიუხედავად იმისა იყო თუ არა განცხადება, რომ ეს იქნებოდა ის რისკი, რომელიც მთავრობას უნდა გაეწია.

როდესაც თქვენ ცუდ პურსა სჭამთ, ეს რისკი არის, როგორც მღივანმა მოგახსენათ. რასაკვირველია, ეს მართალია, მაგრამ ეს პირადი რისკი არის. მაგრამ როდესაც რისკი ეხება მთელ ერს, ჩვენს სახელმწიფო არსებობას და ჩვენ დამოკიდებულებას მოკავშირეებთან, აი ამ შემთხვევაში მხოლოდ გრძნობით გატაცებულ ადამიანს შეუძლიან სთქვას, რომ ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი და არ უნდა გაუწიოთ ანგარიში არავითარ პირობებს. მე ვფიქრობ, რომ ამ გზას დაადგება მხოლოდ ის, ვინც სდგას პასუხისმგებლობის გარეშე

შ. ნუცუბიძე: მღივანს ეს არ უთქვამს).

მე მოგახსენე, ბატონებო, შეკითხვის ავტორი და მან მკაფიოდ განაცხადა ეს აქ. პურის მაგალითი გახსოვთ: ბატონ მღივანს შეუძლია სჭამოს ცუდი პური და რისკი გასწიოს, მაგრამ ქართველ ერს არ შეგიძლიათ მიაწოდოთ ისეთი საგანი, რომელიც შეიძლება ვერ მოინელოს. ამ გვარად, საკითხის დაყენება არის მხოლოდ ავანტიურისტული პოლიტიკის წარმოება. რადგან რისკი, რომელიც არ უწევს ანგარიშს არავითარ შექმნილ პირობებს, არის ნამდვილი ავანტიურა. ჩვენ ამ პოლიტიკას უარვყოფთ, როგორც მუდამ უარვყოფდით. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს ჯარს შექმნილი პირობების მიხედვით არ შეეძლო დაეჭირა იმ ხანებში ბათუმი და მისი მიდამოები, მაინც შესაძლებელი გახდა, რომ მას დაეჭირა ბათუმში მიმავალი ორი დიდი გზა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. ამ გვარად ფაქტიურად ჩვენი რეალური ძალა ოლქში შევიდა, ამას მოითხოვდა თვით მოკავშირეების ინტერესები, რადგან ჩვენი ჯარის შესვლამ ოლქში ლაგამი ამოსდო ბანდიტებს, ავანტიურისტებს და იქ მოთარეშე ბოლშევიკებს. ბატონმა მღივანმა პირველ თავის სიტყვაში მოგვახსენა, რომ ნატანების ფრონტიდან ჯარი თვალცრემლიანი დაბრუნდაო. დიახ, ჯარმა მიიღო ბრძანება და მან ის ყოველად უყოყმანოდ შეასრულა. ის თვალცრემლიანი დაბრუნდა, ის გრძნობამ ვერ გაიტაცა; ჯარს სჯეროდა, რომ საქართველოს სათავეში მდგომნი მარტო გრძნობებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ—უპირველესად გონებით და ამ გონების ნაკარნახევი იყო, რომ ნატანების ფრონტი [illegible] იმისათვის, რომ ჩრდილოეთის ფრონტი ბოლშევიკებისგან თავდასაცავად გაგვემაგრებინა. და ეს ასეც მოხდა ჯარი ყოველთვის მზათ იქნება, როდესაც კი საქართველოს მტერი მოევლინება. შევებრძოლება ის მტერს და დაჰკრავს ჩასცემს. ის გრძნობა ჯარისა, რომელზედაც მღივანმა ილაპარაკა, იმის თავმდებია, რომ ჩვენს მომხდურ მტერს ისე დახვდება როგორც ეს საჭირო არის. (ს. დადიანი, აი სწორედ ამისთანა ძალა არ უნდა შეაცდინოთ). მეც ამას მოგახსენებთ: ყოველი ავანტიურა შეცდომაა, ხალხის დაღუპვაა. თქვენ ამას გვირჩევთ, ჩვენ კი უარს ვყოფთ. თუ მდგომარეობა შეიცვალა, გადაწყვეტილებაც უნდა შეიცვალოს, ტაქტიკა შეიძლება 24-ში ოცდათოთხჯერაც შეიცვალოს, ცოცხალი საქმე ასეთია და ცხოვრებაც ამას მოითხოვს, ჩვენ ვურჩევთ მთავრობას, რომ ის ისეთივე წინდახედულად, ისეთივე ანგარიშის გაწევით შექმნილ მდგომარეობისა მოიქცეს როგორც იქცეოდა აქამდე და ყოველი საკითხი მას არ გადაეჭრა ისე, რომ არ გაეთვალისწინებინა ყოველი შექმნილი გარემოება. აი ასეთი დიდი გარემოება, ასეთი დიდი ფაქტორი არის ის საშინელება, რომელიც ჩვენ მოველით ჩრდილოეთიდან. ბატონებო, დღევანდელ გამოსვლას ხალხისას კრებებზე და მიტინგებზე უნდა მიეცეს ის მნიშვნელობა, რომ დღეს იდგა საკითხი არა მარტო ბათუმის შესახებ, როგორც საკითხი იყო აქ დაყენებული, არამედ მთელი საქართველოს დამოუკიდებლობისა. დამოუკიდებელ საქართველოს არსებობა უბათუმოთ არ შეიძლება. ხალხი გრძნობდა ამას და არ შეუძლიან ეს გრძნობა დამალოს, ის ამბობს უბათუმოთ საქართველოს არ შეუძლიან არსებობა (ხმები: მართალია, მართალია) და აი სწორედ ხალხის და დამფუძნებელი კრების მთლიანი გამოსვლა მიმართულია, როგორც ჩრდილოეთიდან მომავალთა წინააღმდეგ, ისე იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ბათუმში მუშაობენ და იქ ჩვენს თანამოძმეებს შორის შუღლს სთესავენ. ამ დროს დღევანდელი ლოზუნგი იყო: ბათუმი და დამოუკიდებელი საქართველო, ბათუმი დამოუკიდებელ საქართველოში, შეერთება ორი განუყრელი ძმისა, და თუ ვინმემ სხვა ლოზუნგი წამოისროლა, ეს იქნებოდა რომელიმე უპასუხისმგებლო პირი, რომელმაც სიტყვის უფლებით ისარგებლა. ჩვენი ხმა კი უნდა მისწვდეს მთელი ევროპის სახელმწიფოებს და მათ დემოკრატიას, რომ ჩვენ გვაქვს დამოუკიდებლობა და მას უნდა ჰქონდეს ყველა ის ატრიბუტები და თვისებები, რომელიც აქვს სახელმწიფოს საერთოდ.

მოქალაქენო, რამოდენიმე წუთით უნდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ერთ საკითხზე. ჩვენი ძმები, ქართველი მაჰმადიანები, ბათუმის ოლქის და ქალაქის მცხოვრებნი არა ერთხელ განიცდიდენ ჭირლობებს. იყო დრო, როცა განიცდიდენ ზნეობრივ ჭირლობას, ეს მაშინ, როცა მათ რუსეთის თვითმპყრობლობა უუბნებოდა: თქვენ ქართველები არა ხართ, თქვენ თურქები ხართ. დღესაც აჭარლებს შორის დადიან ბნელი პირები, რომლებსაც სურთ ფალსიფიკაცია უყონ მათ ნებისყოფას, ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს, მოუწოდებენ მათ ოსმალეთისკენ, ზოგნი კი ბოლშევიკებისაკენ. სამწუხაროდ, ამ ტრიბუნიდან ითქვა ისეთი რამ, რომელიც ერთგვარი ჭირლობაა ჩვენი ძმებისათვის და მე მინდა ეს ჭირლობა მოგაშოროთ. აქ განაცხადეს, რომ იმ პოლიტიკის წყალობით, რომელსაც საქართველოს მმართველი წრეები აწარმოებდა, ის დღეს გარიყულია, მას მოკავშირე არა ჰყავს და ამით ვითომ და ისინი, ჩვენი მოძმენი, უიმედო მდგომარეობაში არიან. ჩვენ ვაცხადებთ საჯაროთ, საქვეყნოთ, რომ საქართველოს ჰყავს მოკავშირეები, ესენი არიან: დასავლეთ ევროპის მოკავშირეები და მათი დემოკრატია. შეიძლება ჩვენ მართლაც იზოლიაციაში ვიყოთ, მაგრამ ეს არის მხოლოდ ბოლშევიკებთან. ჩვენ იმ საერთო ენას ვერ გაგვიზიარებთ, რომელიც გამონახეს ოსმალეთის იმპერიალისტებმა და ბოლშევიკებმა, ეს ენა ჩვენ მტრებისათვის დაგვილოცნია. აქ ბევრი ითქვა იმის შესახებ, რომ ჩვენ ბათუმი დავკარგვთ, ის არა გვაქვს, მაგრამ ეს არ არის მართალი. ბათუმის ოლქის მცხოვრებნი, ჩვენი ღვიძლი ძმები, ჩვენთან არიან. ყოველივე ინტრიგას აჯობა ნათესაობის—ერთობის გრძნობამ და ჩვენ განუყრელი ვართ. თუ ეს ფაქტორი არ არსებობს, სადაც არ უნდა შეიყვანო ჯარი, ვერას გახდება, მაგრამ, როდესაც ასეთი ეროვნული მიდრეკილება მტკიცეთ, შეურყევლად არსებობს, მაშინ ბათუმი არ დაგვეკარგება და ვერც დავკარგავთ. აი მე ხელთა მაქვს დღევანდელი ნომერი ბათუმის ქართულ გაზეთ „სამუსლიმანო საქართველო“, რომელშიაც [illegible] პეტიციებია მოთავსებული საქართველოს მთავრობისადმი. მე თავს არ შეგაწყენთ ყველას წაკითხვით, ეს არც საჭიროა, მე წავიკითხავ მხოლოდ ორ ადგილს: აი ერთი: (კითხულობს: ართვინის წარმომადგენელთა ყრილობა სთხოვს საქართველოს მთავრობას იხსნას ისინი უბედურებისაგან და ყოველი ღონე იღონოს სამაჰმადიანო საქართველოს ავტონომიურ საფუძველზე საქართველოსათვის შესაერთებლად.) ამასვე თხოულობს ბორჩხის მცხოვრებნი. (კითხულობს). აი, ეს არის ჩვენი უდიდესი გამარჯვება, ეს არის საბუთი მიმართული ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენს წინააღმდეგ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის მოქმედობენ. და რომ ბათუმის ოლქში ამგვარად მოქმედობენ მოკავშირეთა ინტერესების წინააღმდეგ, ჩვენ ეს კარგათ ვიცით ბოლშევიკების და ოსმალეთის იმპერიალისტების დადგენილებიდან; ამიტომ საჭიროა ზომების მიღება, რათა ხალხის ეს უტყუარი სურვილი ევროპის წინაშე სხვანაირად არ გაისაღონ. აი ამ ჩვენ ძმებს, რომელნიც მოგვიწოდებენ, რომ ზომები მივიღოთ მათ შესაერთებლად საქართველოს დამფუძნებელი კრება მიაწვდის თავის ხმას ამის შესახებ, რომ ბათუმი და ოლქი უნდა იყოს საქართველოს ნაწილი, ავტონომიურ საფუძველზე (ტაში). დამფუძნებელი კრება სალამს უძღვნის იმ ჯარს, რომელმაც გადალახა ზღაპრული დაბრკოლებანი, სტიქიონური პირობები, რომელიც მას წინ ეღობებოდა და შევიდა ბათუმის ოლქში, დაიჭირა იქ ადგილები და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. დამფუძნებელი კრება და მთელი ერი სალამს უძღვნის იმ თანამოძმეებს, რომლებიც ილტვიან თავის ღვიძლ დედასთან—საქართველოსთან, სადაც შეიძლება მათი ნორმალური განვითარება.

და დღეს მთელ მოწინავე კაცობრიობას უნდა მისწვდეს ძახილი ქართველი ერისა, რომ ბათუმი და მისი ოლქი დარჩეს საქართველოს ფარგლებში ავტონომიურ საფუძველზე, რომ ის განვითარდეს იქ, სადაც შესაძლებელია, რომ ეს ძარღვი საქართველოს სხეულისა არ შეიძლება მოჭრილ იქნეს, რომ ამ ძარღვის მოჭრით სისხლისაგან დაიცლება მთელი სხეული. აი, ეს ხმა უნდა გაისმას აქედან მთელი ქვეყნის წინაშე. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი მეზობლებიც იზიარებენ იმ დებულებას, ბათუმი და მისი ოლქი არ იქნეს ავანტიურისტების ხელში, რომ ბათუმი უნდა დარჩეს საქართველოს ფარგლებში, ამას მოითხოვს ევროპის ინტერესიც. ჩვენ გვწამს, რომ ეს ხმა მიწვდება ევროპას და ბათუმის საკითხი სასურველად გადაწყდება. აი ამ იმედით ჩვენ მივმართავთ ქართველ ერს და ვეუბნებით: საიდანაც არ უნდა მოგვევლინოს საფრთხე,—დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან, ამას წინ აღუდგება ლოზუნგი: „საქართველო უნდა დარჩეს დამოუკიდებელი“. და აი, ამ დროს ქართველი ერი არ დაუშვებს ძირს თავის დროშას და მის დასაცავათ იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. (ტაში).

პოდოლიის კამენეცის რაიონში ქ. უშიცის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა. პერეკოპის ჩრდილოეთით მტრის თავდასხმანი ძალებთან ჩვენს ჯარს ბრძოლა აქვს. ჩვენი ჯარი ნოვოროსიისკს უტევს. ეკატერინოდარის რაიონში ჩვენი ჯარი სტან. კრიმსკაიას უახლოვდება.

ახალი ამბები

◆ **წყალდიდობის მოლოდინში.** ხუთშაბათს, მარტის 25 მე-8 უბნის კომისარმა ს. ბოლქვაძემ მოახდინა მე 8 უბნის მცხოვრებთა იმ პირების კრება, რომლებიც მტკვრის პირას ცხოვრობენ და აუხსნა, თუ როგორ უნდა მოიქცენ მოსალოდნელ მტკვრის გადიდების დროს. კრებამ აირჩია კომისია, რომელიც ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ გადიდებულ მდინარემ არაფერი დააზარალოს. კომისიამ თავის თავს იდვა ნაგვის შოვნა და სხვა. მტკვრის პირას დანიშნულია 12 საგუშაგო.

◆ **მწერალთა კავშირის საბჭო** ბოდიშს იხდის იმ მწერალთა წინაშე, რომელნიც გამორჩენ პირველ სიაში. ზოგნი კორექტორის უყურადღებობით და ზოგნიც შემთხვევით. ასწორებს რა ამ შეცდომას, აქვეყნებს დამატებითი სიას. სთხოვს სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ. 1) თურდოსპირელი დ., 2) თუმანიშვილი-წერეთლისა ან., 3) ზომლეთელი ნ., 4) ზურაბიშვილი ი., 5) ფურაძე ი., 6) ფალავა აკ., 7) ქნარი. 8) მერეკიშვილი აკ., 9) დუშელი ვანო, 10) ბეგაქარი ლ., 11) ვალიქკერია ი., 12) ნათაძე გ., 13) სიხარულიძე ი., 14) ქორქელიანი ალ., 15) ტოფაძე ირ., 16) ცქიტიშვილი ან.

◆ **სახალხო გვარდიელთა კრება.** ორშაბათს, 29 მარტს, საღამოს 5 ს., დანიშნულია ნაძალადევის უბნის სახალხო გვარდიელების საზოგადო კრება. დღის წესრიგი: მიმდინარე საკითხები და არჩევნები კულტურულ-განმანათლებლის კომისიაში. კრებაზე დასწრება ყველა გვარდიელისათვის სავალდებულოა.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო: 1) ალ. გოგობაძის ლექსები „ზამთრის ჩუქურთმები". ფასი 50 მან. 2) ნ. ნიკოლაძის—სამნი ქართველთა დემოკრატიულებანი 1893—98 წ. რუსულ ენაზე. გვერ. 116, ფასი 50 მ.

◆ **„ეშმაკის მათრახი".** გამოვიდა „ეშმაკის მათრახის" მორიგი (19) ნომერი. ჟურნალი ჩვეულებრივ საინტერესოთ შედგენილი.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს, დილით „პიკის ქალი", საღამოთი კოშიცის მონაწილეობით „ტოსკა", ორშაბათს, 29 მარტს მიშელ დარიალის (ნანობაშვილის) მონაწილეობით „ვერტერი".

◆ **დილა.** კვირას, 28 მარტს, დილის 12 ს. ქართული სამუსიკო სკოლის შენობაში გაიმართება მოწაფეთა დახურული დილა; მოწვეულია ქართული სამუსიკო საზოგადოების გამგეობა და სამუსიკო კოლეგია.

◆ **ერთობის უბნის მუშათა კლუბი.** კვირას, 28 მარტს, გაიმართება საღამო წარმოდგენით. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზედ ილორელის დრამა 3 სურ. 1 მოქ. „თეზრონე"; მე-2 „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ" კომ. 2 მოქ. აგრეთვე იქნება ფოსტა, ცეკვა, ბუფეტი, და სხვა. დასწრება სიღ. 8 ს.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტი.** დღეს, 28 მარტს საღამოს 6 საათზე, ბოტანიკის აუდიტორიაში აგრონომ მეურნეობისმეტყველ სტუდენტთა სამეცნიერო-სალიტერატურო წრეში პროფესორი ს. ნავაშინი წაიკითხავს პირველ ლექციას შემდეგ თემაზე „ადამიანის სული და ბუნება". დასწრება უფასოა.

◆ **საფრანგეთის უმაღლესი კომისარის ჩამოსვლა.** გუშინ, დილის 11 ს., ბათუმიდან თფილისში ჩამოვიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი გრაფი დე-მარტელი, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფ. პოლკ. კორბეილი, კონსული ნეტტემანი, და ოფიცერი პეშკოვი. მათ თან ახლდათ საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელი სომხეთში პუა-დე-ბარი და მათ დასახვედრად ბათუმში გაგზავნილი საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე დირექტორი ი. დ. ტატიშვილი და ლეიტენანტი შალიკაშვილი. სადგური მორთული იყო დროშებით ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. მათ შეხვდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გედევანიშვილი, გენერალურ შტაბის უფროსი ზაქარიაძე, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი დე-ნონანკური, ინგლისის უმაღლესი კომისარი ო. უორდროპი მდივნით, საფრანგეთის კონსული კავკასიაში ლორანი, პოლონეთის წარმომადგენელი ოსტროვსკი, სომხეთის წარმომადგენლის მოადგილე თუმანოვი, საგარეო საქმეთა სამინისტროდან: პოლკ. მელიქიშვილი, მდივანი ისარლოვი და სხვანი. ორკესტრმა შეასრულა საფრანგეთისა და საქართველოს ჰიმნები. უმაღლესი კომისარი საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ქარცივაძესთან გაემგზავრა ბინაზე სასტუმრო „ორიანტში".

◆ **ლტოლვილები ფოთში.** ფოთიდან სამხედრო სამინისტროს აცნობებენ, რომ იქ რუსეთიდან მოსულა ორი გემი ლტოლვილებით. ლტოლვილთა უმეტესობას შეადგენენ ბავშვები, ქალები, ინვალიდები და პოლონეთის, საბერძნეთის და სომხეთის საკონსულოების წარმომადგენლები. ლტოლვილები დიდ გაჭირვებას განიცდიან სურსათის ნაკლებობის გამო.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, კვირას, 28 მარტს წაიკითხავენ ლექციებს: მე 3 განყოფილებაში (ჩუღურეთში) 1) კოტეტიშვილი სოციოლოგია. ხვალ, ორშაბათს, 29 მარტს მეორე განყოფილებაში (ვერაზე) 1) გ. ბარნოვი—ქართული მწერლობა; 2) ს. მესხი—სამშობლოს აღწერა.

მე 4 განყოფილებაში (ორთაჭალა) 1) დ. ასათიანი საფრანგეთის რევოლუცია; 2) მ. აბრამიშვილი—ხელოვნების ისტორია; 3) ი. ანთაძე.

მე 8 განყოფილებაში (ავლაბარი) ვ. კოტეტიშვილი—სოციოლოგია 2) ს. ლოლაძე საქართველოს—ისტორია.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო: 1) თ. შუბითიძის „კრიტიკული ანუ მეცნიერული სოციალიზმი". წიგნი გამოცემულია ხაშურის სოც. დემ. ორგანიზაციის მიერ. შეიცავს 140 გვერ. და ღირს 15 მან. 2) „ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა" გ. გვაზავასი. ღირს 40 მან.

◆ **შრატის გატანა სომხეთში.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს გაიტანოს საქართველოდან სომხეთში 1000 შუშა დიფტერიტის საწინააღმდეგო შრატი.

◆ **თავდასხმა.** 25 მარტს დილის 9 ს. ყაჩაღები თავს დაესხნენ ბალდასარ და ალექსანდრე მიკირტიჩის ძე კოროღლიანცს და წაართვეს ფულით და ოქრო ვერცხლის ნაკეთი 700,000 მან. მეშვიდე უბნის კომისარ გველესიანის მიერ მიღებული სასწრაფო ზომებით ორი ბოროტ-მოქმედი უკვე შეპყრობილია. დანარჩენთა შესაპყრობად მიღებულია ზომები.

◆ **ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი** დეპეშით მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ზუგდიდის ციხის მოთავისმა პატიმრებმა რიცხვით 45-მა განაიარაღეს საპყრობილის მცველები და გაიქცნენ. გამოძიება სწარმოებს. გამოძიება ჩაბარებული ჰქონდა საგანგებო საქმეთა გამომძიებელს. ადგილობრივ გაემგზავრა პროკურორის ამხანაგი და გამომძიებელი.

კრებები.

— ორშაბათს, 29 მარტს, საღამოს სრულ 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— დღეს, დილის 10 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის ბიუროს და სტუდენტთა კავშირის გამგეობის სოციალ-დემოკრ. ფრაქციის კრება.

— 30 მარტს, სად. 5 ს. სახელოსნო სამმართველოში მეორეთ შესდგება იუველირთა, გრავერთა, მესაათების და ვერცხლეულობაზე მომუშავეთა წვრილ მესაკუთრეთა კავშირის საზოგადო კრება. კრება 25 მარტს იყო დანიშნული, მაგრამ კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო არ შედგა. მეორე კრება კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

პროვინციის ქრონიკა

მუქხიეთის (გურია) სამკითხველოს ვარ. თეიმურაზის ძე რამიშვილმა 300 მ. შესწირა გაზ. „ერთობის" გამოსაწერათ, რისთვისაც სამკითხველოს გამგეობა მადლობას უხდის მას.

უცხოეთი

დაღესტანი.

„მოხალისეების მდგომარეობის გარშემო. აღერბეიჯანში გაგზავნილ სამხრეთ რუსეთის დელეგაციის ერთ-ერთ წევრმა პოლკ. დანილოვმა „მოხალისეთა" მდგომარეობის შესახებ საერთოდ და კერძოთ დაღესტანში შემდეგი განაცხადა: დაღესტანი ყველაზე უფრო გამაგრებული და საომარი რაიონია შეიარაღებულ ძალთა მთელ ტერიტორიაზე. დაღესტანში „მოხალისეთა" განკარგულებაში არის აგრეთვე კასპიის ზღვის ფლოტი. ხმები იმის შესახებ, თითქოს ფლოტის მეზღვაურთა შორის მღელვარება იყოს, არ შეეფერება სინამდვილეს: მეზღვაურები ასტრახანიდან გამოქცეულ მეთევზეებისაგან შესდგება, რომლებიც გამოექცნენ ბოლშევიკების ძალადობას და მაშასადამე, არას დროს არ შეურიგდებიან მათ. პოლკ. დანილოვი იმედს გამოსთქვამს აგრეთვე, რომ ყიზლიარისა და დერბენტის რაიონები მალე იქნება განთავისუფლებული ბოლშევიკებისაგან. დერბენტთან უნდა მოეწყოს,—განაგრძობს დანილოვი,—თავდაცვის რაიონი ბოლშევიკების წინააღმდეგ; ეს თავდაცვა ძირითადი იქნება და დაგვირგვინდება გამარჯვებით. ბოლშევიკების წინააღმდეგ გამარჯვების ხელს უწყობს ის გარემოება, რომ დაღესტანის მცხოვრებლები არასდროს არ გაყვებიან ბოლშევიკებს; დაღესტანი გაწმენდილია ბოლშევიკებისაგან; „მოხალისეები" დიდი ხანია მოლაპარაკებას აწარმოებენ ეგრ. წოდ. „თავდაცვის საბჭოსთან" და უკვე ეს მოლაპარაკება შეთანხმებით დაგვირგვინდება. დასასრულ პოლ. დანილოვი ეხება ალექსანდროვსკის ფრონტს, სადაც ორენბურგელი ყაზახები გამაგრებული, და ამბობს, რომ მდგომარეობა ამ რაიონში მტკიცეა.

აღერბეიჯანი.

„აღერბეიჯანი" ბოლშევიკების საფრთხის შესახებ. გაზ. „აღერბეიჯანი" ეხება ბოლშევიკურ საფრთხეს და სხვათა შორის, სწერს: ამ საფრთხის წინააღმდეგ შეთანხმებულათ უნდა იმოქმედონ ამიერ კავკასიის ყველა სახელმწიფოებმა, ჩვენ სრული იმედი გვაქვს გამარჯვებისა. ამის თავდებია ის, რომ ჩვენ გაერთიანებულის ნებით შევხვდებით გამოვიდეთ მტრის წინააღმდეგ. კერძოთ აღერბეიჯანში დავიწყებული უნდა იქნეს ყოველგვარი ვიწრო კლასიური და პარტიული ინტერესები. „არ არის პარტიები, კლასები, არ არის სხვადასხვა მოწინააღმდეგე შეხედულებათა მატარებელი მიმდინარეობები და ჯგუფები, — მტრის წინაშე სდგას მთლიანი ხალხი, რომელიც თავის თავისუფლებას იცავს და რომელსაც სურს გაიმარჯვოს". შესაძლებელია საჭირო იქნეს ბევრი მსხვერპლი. ამ შემთხვევაში სინდისიერათ უნდა გამოვიდეთ მძიმე მდგომარეობიდან: „ან გამარჯვება, ან სიკვდილი, საშუალო გზა არ არის და არც შეიძლება იყოს!",—ათავებს წერილს გაზეთი.

საფრანგეთი.

საფრანგეთის სოციალისტების ყრილობამ 2 დღის ცხარე კამათის შემდეგ უარყო წინადადება მე 3 მე ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

პოლონეთი.

პოლონელი სოციალისტები და საბჭოთა მთავრობა. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ოფიციალურ ორგანოში,—„რაბოტნიკ"-ში დაბეჭდილია პოლონეთის სოციალისტების პასუხი იმ მანიფესტზე, რომლითაც საბჭოთა მთავრობამ მიმართა მათ ზავის ჩამოგდების შესახებ. პოლონელი სოციალისტები ბრალს სდებენ საბჭოთა მთავრობას იმაში, რომ უკანასკნელი მიისწრაფის ძალით მოახვიოს თავისი ბატონობა წვრილ ერებს, რომელთაც თავი განთავისუფლეს ძველი რუსეთის ბატონობისაგან და დღეს სურთ იცხოვრონ დამოუკიდებლათ; ბრალს სდებენ აგრეთვე იმაში, რომ იგი მუდამ ემუქრებოდა და ემუქრება პოლონეთს. მაგრამ დღეს სულ სხვანაირი მდგომარეობაა, — განაგრძობენ პოლონელი სოციალისტები; პატარა ერებმა მოიპოვეს და განიმტკიცეს თავიანთი დამოუკიდებლობა; მიუხედავათ ჩიჩერინის ალერსიანებულ ფრაზეოლოგიისა,— ბოლშევიზმი მაინც ვერ შესძლებს თავისი ბატონობა გაავრცელოს ამ ახლად დაარსებულ სახელმწიფოებში. „პოლონეთი ზავისაკენ მიისწრაფის, მაგრამ საბჭოთა მთავრობა არ კმაყოფილდება ამით. რუსეთში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ კომისარების დიქტატურას, ნგრევასა და ტერორს; ხოლო ვერ ვხედავთ აღმშენებლობით მუშაობას. რუსეთის მუშები ვერ ეღირსნენ იმ თავისუფლებას რაც ბოლშევიკებმა აღუთქვეს მათ.

ორი ლექსი

1. მუხრანის ხიდი.

იჩქარის მტკვარი ძლიერი მღეგზე
გაჟრჟოლებული სავარდნებით.
და გაშლილებით იკერენ თევზებს
ოროთაქილედი მებადურები.

თირიგით მუქი დილევენ ტალღები
ცივა და თეთრი მოსვლას აპირებს.
გაცივებული ქუჩის ბაღლები
გაიძახიან: ირის, მაპირის.

მეჭურო მოისჩანს განმარტოვებით
და ავლაბარის ისმის ხმაური.
ყარაჩოხელი ძველ კინტოების
არის ქუჩებში აუგი ზაური.

ზის მოთხოვარი და ითვლის თითზე
ვინ არის მეწე და გამკითხავი;
და გადაკიდულ მუხრანის ხიდზე
გადაფრინდება ტირილით ყვავი.

—

2. ვრცელი ღამე.

მე მიყვარს ღამე ვრცელი და შორი
შეუცნობ შიშის გამომსახველი.
ამღერებულ ღრუბლით ცივი ამბორი
ქარი და მთვარე, გიჟი და ხელი.

ო, ჩემო ბედო, სით წახველი
რისთვის მოაქციე ჩემს ცაზე დარი.
მე შევიძულე შენი სახელი
და დავანგრიე რწმენის საყდარი.

და ეხლა ვინანობ სული რად მივეც
თებერვალის გრიგალს ჩემის უფლებით.
წამების გზაზე ვიგრძენ სიცივე
და მახვევია ირგვლივ ღრუბლები.

ხარიტონ ვარდოშვილი

პროფესიონალურ კავშირებში

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში.

კოოპერატივი „ვოზროჟდენიე"-ს წმიდა მატერიალურ მდგომარეობისა და მისი კავშირთა საბჭოს გამგებლობაში გადასვლის შესახებ საბჭოს მდივნის ამხ. ჩხენკელის მოხსენებით—პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა დაადგინა აირჩეულ იქნას კომისია საკითხთან დეტალურათ გასაცნობათ.

ლითონზე მომუშავეთა „განახლებული კავშირი".

24 მარტს შესდგა არსენალისა და საარტილერიო და საინჟინერო საწყობების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებამ მოისმინა ამხ. ბ. ჩხიკვიშვილის მოხსენება ჩრდილოეთ კავკასიის მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგ განხილულ იქნა საკითხი ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირის დაარსების შესახებ. უკანასკნელ საკითხის გამო გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: არსენალისა და საარტილერიო და საინჟინერო საწყობების მუშა-მოსამსახურეთა 1920 წლის 24 მარტის საზოგადო კრებამ განიხილა რა ყოველ მხრივ საკითხი ამ წარმოებების მუშათა და ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობის და ელექტრონზე მომუშავეთა და შოფერების ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ, დაადგინა: ვინაიდან მომავალში მათთან მუშაობა შეუძლებელია, შეწყვეტილ იქნას საბოლოოთ მათთან კავშირი და დაარსდეს კავშირი „ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირი"-ს სახელწოდებით, არჩეულ იქნას კომისია და მოწვეულ იქნას მსურველი, ლითონზე მომუშავენი შევიდნენ ამ კავშირში და ამ რიგათ, შეკავშირებულ უნდა იქნან ერთ მთლიან ორგანიზაციაში ფაქტიურათ დამფუძნებლი კავშირის წევრები. ეს დადგენილება გადაეგზავნოს საბჭოს სეკრეტარიატს და ეთხოვოს მას კავშირისათვის ბინა.

საერთო საქალაქო კასაში.

დაავადმყოფებულ მუშათა უქმე დღეების დახმარების მიცემის შესახებ, გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინა: პრინციპიალურად აუცილებლათ საჭიროთ იქნას ცნობილი ავათმყოფ მუშებს მიეცეთ დახმარება მხოლოდ უქმე დღეებისათვის.

თამბაქოზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირში.

სეილანოვის თხოვნა, რომ კავშირმა მარტო ქალები გაუგზავნოს მას სამუშაოთ, გამგეობამ არ დააკმაყოფილა.

გამგეობამ აღკრძალა მუშათა ერთი განყოფილებიდან მეორეში გადაყვანა.

დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

(მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოებრივ მთავარ ბიუროს ბიულეტენი № 6).

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მთავარ ბიუროში შემოიტანა: სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრე აბაშიძემ—25,400 მან. სანთლის ქარხნიდან 1,000 მან. „საეროს" საზოგადოებისაგან 200 ბოთლი ღვინო., რკინის გზის საავათმყოფოდან 749 მან., საბურთალოს მუშათა კლუბმა 10,052 მან., ექიმმა ხოჯაშამოსოვმა 1000 მან., მეოთხე რაიონმა 7826 მან., რუსთაველის მესამე საქალაქო სკოლამ 10,382 მან., ორი უცნობი 230 მან. (150—80), ღვინოს გასტრონომიულ და ბაკალეის მოვაჭრეთა კავშირმა 4,980 მან., არჩილ როხაძემ მის მიერ შეგროვილი 20,000 მან., ნ. ქართველიშვილმა რუსთაველის სახელობის მესამე სკოლის მოწაფეთა შორის შეგროვილი 1,038 მან., „საქართველოს რესპუბლიკის" შეგროვილი 3,000 მან., მღვდელთა ცეხმა 350 მან., ბ. ჩხიკვიშვილის მიერ შეგროვილი 25,000 მან., სულ წინათ შემოსულით 2,404,975 მან. 55 კაპ.

მთავარ ბიუროს მდივანი ვ. ხახანაშვილი.

პროფესიონალურ კავშირებში

შორაპნის მაზრის პროფესიონალური კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ თავის 1920 წ. 16 მარტის საგანგებო სხდომაზედ, მოისმინა რა მოხსენება შორაპნის მაზრის მასწავლებელთა 12 მარტის ყრილობის დადგენილების შესახებ დაადგინა: 1) მაზრის მასწავლებელთა ყრილობის დადგენილებები, ისეთ დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიც არის გაფიცვა და სხვა, უნდა გადაიდეს სათანადო ინსტანციებში; მაზრის პროფესიონალური კავშირების საბჭოში რესპუბლიკის ცენტრალური პროფესიონალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და სხვა და არა სეპარატიულათ მოეყვანოს სისრულეში ყრილობის (როგორც ეს მოხდა) თავისი დადგენილებები. საბჭო ასეთ გამოსვლას სთვლის ანტიპროფესიონალურათ და ანარქოსინდიკალისტურათ. 2) აგრეთვე დიდის მნიშვნელობის რა მასწავლებლობაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, საბჭო ხაზ გასმით აღნიშნავს, რომ მასწავლებელთა ყრილობის მიერ გამოტანილი დადგენილება გაფიცვის შესახებ არის არსებითად ანტიდემოკრატიული და ანტი სახელმწიფოებრივი ნაბიჯი, რასაც საბჭო მთელი თავისი ძალ-ღონით შეებრძოლება.

ეს დადგენილება დაეგზავნოს ეცნობოს განათლების სამინისტროს და რესპუბლიკის ცენტრალური პროფესიონალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სახელმძღვანელოთ.

შორაპნის მაზრის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო.

სახალხო გვარდიაში

საგანგებო ბათალიონის და საინჟ. გუნდის კულტ.-განმან. სექციამ 23 მარტს გახსნა სკოლა გვარდიელებისათვის. მოწაფეთა რიცხვი ჯერ-ჯერობით 50 კაცამდე აღწევს. სკოლაში ორი განყოფილებაა: პირველი—წერა-კითხვის სრულიად უცოდინართათვის, სწავლა სავალდებულოა. მეორე—წერა-კითხვის მცოდნეთათვის სურვილისამებრ. გვარდიელები სწავლას დიდის ხალისით ეწევიან. წიგნებით და სხვა სამოსწავლო ნივთებით სარგებლობა უფასოა.

სამკითხველო, რომელიც დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში დაარსდა, შესაფერად მოეწყო, მოდის ყველა ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთები, შეძენილია ათასზე მეტი დიდი და პატარა წიგნი. წიგნების კითხვით ძლიერ დაინტერესებულია გვარდიელები და ბლომათაც გააქვთ. ყოველდღიურათ სამკითხველოს ჰყავს ასამდე მკითხველი.

— —

თანახმად ნაძალადევის უბნის სახალხო გვარდიის შტაბის დადგენილებისა (20 მარტი, ოქმი № 16) გვარდიიდან დათხოვნილ იქნენ შემდეგი პირნი: 1) ქარსაულიძე ვასილი სოლომონის ძე (მთავარ სახელოსნოების სახარატო ცეხის ზეინკალი) სხვადასხვა ბოროტმოქმედებების ჩადენისათვის. 2) მამაჯანოვი ბაგრატ მოსეს ძე (მთავარ სახელოსნოების სახარატო ცეხის ხარატი), როგორც არა სასურველი პიროვნება გვარდიისათვის. 3) პაპიაშვილი დავითი გიორგის ძე, მეჭურჭლიშვილი თედო გიორგის ძე, დათუნაშვილი აბრამ გიორგის ძე (გორის მაზრის მცხოვრებლები) სოფელში უმიზეზოდ თოფების სროლისათვის.

ს.-დ. პარტიაში

თფილისის საქონლის სადგური. 25 თებერვალს შესდგა თფილისის საქ. სადგურის ს. დ. მუშათა პარტიის წევრების ჩვეულებრივი კრება. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. პროფ. ჯიბლაძე, მდივნათ აკაკი ზამბახიძე. დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) მოხსენება ადგილობრივი პრეზიდიუმისა, 2) მოხსენება რკინის გზის რაიონული კოლექტივის, 3) მოხსენება ძირითადი კავშირის გამგეობისა კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ. ადგილობრივი პრეზიდიუმის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. სიმონ ასათიანი. რკინიგზის რაიონული კოლექტივიდან ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. არ. მახარაძე, რომელიც აცნობს კრებას რკინის გზის რაიონული კოლექტივის მუშაობას: კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. დ. [illegible], რომელიც აცნობს კრებას კოლექტიური ხელშეკრულების ძირითად პრინციპებს. კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ გაიმართა კამათი. შემდეგ კრებამ გადასწყვიტა კვირას, 28 მარტს კავშირის კომიტეტმა მოიწვიოს სადგურის პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება. **ქრისტესიშვილი.**

— —

თელავი. 17 მარტს, შესდგა თელავის სადგურის რკ. გზის მილიციელთა და დარაჯთა სოც.-დ. მ. პარტიის ორგანიზაციის წევრთა კრება, კრებას დაესწრო 18 წევრი. კრება იყო გაგრძელება წარსული კვირის კრებისა. მიზანი კრებისა იყო ბიუროს რეორგანიზაცია, თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ქ. კოპალეიშვილი, მდივნათ ჯაფარიძე, დღიურ წესრიგში იყო კითხვები დაყენებული შემდეგი: 1) პარტიის წევრთა მოვალეობანი, 2) შესწავლა ს. დ. პროგრამისა, 3) ბიუროს რეორგანიზაცია, პარტიის წევრთა მოვალეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. კოპალეიშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას პარტიის წევრთა მოვალეობა და თუ როგორ სწარმოებს პარტიული მუშაობა. შემდეგ ამისა კრებამ გადაჭრა მორიგ კითხვებზე. კრებამ გაიცნო სოც. დემ. პარტიის წესდება. ბიუროს წევრებათ, არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) კოპალეიშვილი, 2) შუბლაძე, 3) ასათიანი, 4) ინწკირველი, 5) გელენტი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს, აბდუშელიშვილი, ჯაფარიძე, დ. ასათიანი.

მუშათა შორის

ქალაქის აბანოების მოსამსახურეთა შორის. ვინაიდან ქალაქის აბანოების მუშა მოსამსახურენი თავის დროზე არ დებულობენ ჯამაგირებს და ამით ისინი ძალიან ცუდს მდგომარეობაში ვარდებიან, ამიტომ ქალაქის აბანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირმა დაადგინა გაეგზავნოს თფილისის ქალაქის თავს დახმარება გაუწიოს მათ და წინადადება მისცეს ქალაქის გამგეობას, რომ აბანოების ექსპლოატაციიდან აღებული თანხა არ იქნეს შეტანილი ქალაქის საერთო კასაში მანამ, სანამ მუშა-მოსამსახურენი არ იქნებიან ჯამაგირით დაკმაყოფილებულნი.

პროვინცია

მარნის თემი (სენაკის მაზ.) 11 თებერვალს შესდგა მარნის მომხმარებელ კოოპერატივ „კავშირის" წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა იორდანე პიტიმა, მდივნათ ბესარიონ თელია.

გამგეობიდან მოხსენებებს აკეთებენ ილ. ნიგოგიძე და გ. ტალიკაძე, რომლებმაც აღნიშნეს საერთოდ მძიმე და ცუდ პირობებში მუშაობა გამგეობის, რამდენიც მათ ძალი და ღონე ჰქონდათ მუშაობდნენ და სასურველად მოიყვანეს საქმე 1920 წლამდე. შემდეგ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ქ. ზამთარაძე. მან აღნიშნა გამგეობის წევრების შეგნებული და დაუღალავი მუშაობა და ბოლოს უძღვნის მათ კეთილ სინდისიერ მუშაობისათვის მადლობას. კრება მადლობას უცხადებს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებს დაუღალავათ მუშაობისათვის და გადადის მორიგ კითხვაზედ.

1919 წლის ანგარიშები კრებამ დაამტკიცა. 1919 წელს დარჩენილია წმინდა მოგება 48.770 მ. 73 კ. ამ მოგებიდან მიეცეს ჯილდო გამგეობას 3500 მან. თანამშრომლებს კოოპერატივისა 2200 მან. სარევიზიო კომისიის წევრებს 4000 მან. ამ ფულებიდან 2000 მ. განსვენებულ ამხ. ლ. სიხარულიძის ობლებს.

მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვა წარმოდგენილი გამგეობის მიერ მიღებულ იქნა ერთხმათ და დასძინა კრებამ, რომ ჯამაგირზე პროცენტული მომატებები მიეცემოდეს სახელმწიფო პოლიტის მომატებებთან ერთად. შენობის შენახვის კითხვა მიენდოთ გამგეობას მოსაგვარებლად. საპაიო თანხა გადიდდა 100 მანეთამდე. ხოლო გამგეობას მიეცა უფლება აიღოს ხუთჯერ მეტი სესხი იმ თანხაზედ, რომელიც შემოტანილი იქნება წევრების პაის სახით. ნახევრად ფულებს წევრებიდან მიეცეს 25 პროცენტი. ფარული კენჭის მიცემით გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: გ. ტალიკაძე, ილ. ნიგოგიძე და ონ. თელია; კანდიდატათ გ. შენგელია. სარევიზიო კომისიაში ერთხმათ იქნენ არჩეულნი ქ. ზამთარაძე, ბ. თელია და ლ. დუნდუა კანდიდატათ ამბროსი ჩიკვაიშვილი. განყოფილების გახსნა მიენდოთ გამგეობას, რომელიც უნდა მოათავსოს ქ. დუნდუას შენობაში სოფ. მეორე ილორში.

მიმდინარე კითხვები: სოფ. გაჭურგნარში და ქუმანაზში მეოთხე განყოფილების გახსნის კითხვა მიენდო გამგეობას, თუ ეს მოსახერხებელი იქნება. მიენდოს გამგეობას შეიძინოს საპაროთ კოოპ. ბანკის საჭირო რიცხვი აქციებისა. დაევალა გამგეობას გაა-

ვრცელდეს კოოპერატიული ლიტერატურა რაც შეიძლება ფართოდ.

კორესპონდენტი.

წერ. რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! ბ-ნმა ვეშაპელმა არა ერთხელ გამოილაშქრა ჩემს წინააღმდეგ. ის მე მექრთამეობას მწამებს. საქმე სასამართლოში გადავიდა. თფ. სასამართლო პალატამ 10 მარტს თავისი განაჩენი გამოიტანა, სადაც ის შეეხო ყველა იმ ბრალდებებს, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ ბ-ნმა ვეშაპელმა წამოაყენა.

იყო 3 ბრალდება, რომ მე ქრთამი ავიღე: 1) სეილანოვისაგან, 2) ალიხანოვისაგან და 3) სესიევისაგან.

პალატამ ბ-ნ ვეშაპელის პირველ ორ ბრალდებას „ფუქსავატი ბრალდება" უწოდა, სესიევის შესახებ კი პალატა ამბობს, რომ კაჩუხაშვილმა 4000 მ. დანიშნულებისამებრ გადასცა და ეს გარემოება კი ვეშაპელმა არ იცოდა, რომელსაც ის კაჩუხაშვილის მექრთამეობაზე სწერდა, თვით კაჩუხაშვილს კი ქრთამი არ აუღია და ანგარიშს მის მოქმედებაში ადგილი არ ჰქონებია.

ამასთანავე ვგზავნი პალატის განაჩენის ოფიციალურ ასლს და გთხოვთ ის მოათავსოთ „ერთობის" ერთ-ერთ ნომერში. ივ. კაჩუხაშვილი.

განაჩენი.

თფილისის სასამართლო პალატამ განიხილა რა საქმე აპელაციის ფარგლებში, მოისმინა მხარეთა კამათი და მიიღო რა მხედველობაში მხარეთა მიერ წარმოდგენილი საბუთები, სწორედ სცნო თფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, თუმცა არ იზიარებს მის მოსაზრებებს. ვეშაპელის მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი მტკიცებანი და გარემოებანი, რომელნიც მას და თფილისის საოლქო სასამართლოს მიაჩნია დამამტკიცებლად იმ ცნობის სიმართლისა, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზ. „კლდეში", კაჩუხოვის მექრთამეობაზე, სასამართლო პალატას ასეთად არ მიაჩნია. ეს გარემოებანი და მტკიცებანი შემდეგია: 1) ვეშაპელის თხოვნით იყო ნაკითხი, ვითარცა მოწმენი, ძმები სეილანოვები და დილევსკი და კაფიევი. ამათში დაკითხვის დროს სეილანოვებმა განაცხადეს რომ, მათ ქრთამი არ მიუციათ კაჩუხაშვილისთვის; კაფიევმა კი მისცა ჩვენება რომ, ის ლაპარაკის დროს, როცა მას შეხვდა სეილანოვი და ფრიდონოვი, უკანასკნელმა კითხვაზე, როგორც მოხდა სეილანოვის განთავისუფლება, უპასუხა: „საქმე მოხერხდა ქრთამით" შუაკაცათ იყო კაჩუხოვი, რომელმაც მიიღო 25 ათასი. მან. შემდეგ ვეშაპელიც და თფილისის საოლქო სასამართლოც, ეყრდნობიან გამომძიებელ დილევსკის ჩვენებას, სადაც უკანასკნელი ამოწმებს, რომ სეილანოვმა მას უთხრა, რომ მან მისცა ქრთამი განთავისუფლებაში. ეს ჩვენებანი დამამტკიცებელ საბუთად მიაჩნიათ მათ კაჩუხაშვილის მიერ ქრთამის აღებისა. სასამართლო პალატას არ შეუძლიან მიიღოს ეს აზრი და გაიზიაროს მისი სიმართლე. პალატას ეჭვიც არ შეაქვს მოწმე გამომძიებელი დილევსკის ჩვენებაში, მაგრამ სეილანოვის მიერ, ოფიციალურ დაკითხვის შემდეგ, კერძო ლაპარაკში ნათქვამს, რომ იგი უსათუოდ ქრთამით განთავისუფლდა ციხიდან და იგი გაჯა არ არი რომ სიმართლე სთქვას, პალატა აძლევს მხოლოდ იმ მნიშვნელობას, რომ 1) შესაძლებელია სეილანოვმა მართლაც მისცა ქრთამი თავის განთავისუფლებაში ან 2) მან ქრთამი განთავისუფლებაში სულაც არ მისცა და დილევსკის ტყუილი უთხრა, რათა უფრო კიდევ ჯავრი ეყარა იმ რესპუბლიკაზე, რომლის მოსამსახურეობაზე მან სეილანოვმა საყვედური და გაკვირვებაც კი გამოუთქვა ამ დილევსკის.

უკანასკნელ შემთხვევაში თუ არ ვილაპარაკებთ პირველ შესაძლებლობაში, შეიძლება თუ არა დანამდვილებით ლაპარაკი იმაზე, რომ სეილანოვმა სახელდობრ კაჩუხაშვილს ქრთამი მისცა და ასე განთავისუფლდა ციხიდან? ეს ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია პალატას, მიტომ რომ, არც სეილანოვი, არც კაფიევი, არც დილევსკი, არც პირდაპირ არც არა პირდაპირ არ ამბობენ რომ, ქრთამი ქონდა მიღებული კაჩუხაშვილს. მაშასადამე პალატას შეეძლო მიეღო ის დასკვნა რომ, იყო ქრთამი მიცემული სეილანოვის განთავისუფლებაში, ხოლო ვინ მიიღო ეს ქრთამი, დამტკიცებული არ არი, მაგრამ, აქაც ამ შესაძლებლობაში პალატა არ იზიარებს, მიტომ რომ თვით ქრთამის მიცემაც კი სეილანოვისაგან არ არის დამტკიცებული; დამტკიცებათ ასეთ სერიოზულ გარემოებისა, როგორც არის ქრთამის მიცემა, პალატას არ შეუძლიან მიიღოს ასეთი მითქმა-მოთქმანი, რომელნიც ჰქონდათ შემთხვევით შეხვედრილ ნაცნობთ კაფიევს და ფრიდონოვს, ან დილევსკის და სეილანოვს კერძო საუბრის დროს. რომ ფრიდონოვს ან სეილანოვს ის რაც მათ უთხრეს ნაკითხ მოწმებს, ეთქვათ მათთვის ან გამომძიებლისთვის სასამართლოში, სრული პასუხისმგებლობის შეგნებით, აეხსნათ მათ: ვინ მისცა ქრთამი ან ვინ მიიღო იგი, ან რამდენი იყო ქრთამი, ან სად იქნა იგი გადაცემული და სხვა; კიდევ შეიძლებოდა ეფიქრა პალატას, რომ მართლა გადაეცა ქრთამი სეილანოვის განთავისუფლებაში, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია უპასუხისმგებლო ლაპარაკი ნაცნობთ შორის, ქუჩაში, რომელსაც ხუმრობა და სერიოზული ლაპარაკი, მართალი და ტყუილი, ხშირად ერთმანეთში ერევა ხოლმე, მიიღოს პალატამ როგორც დამამტკიცებელი მისი, რომ სეილანოვმა ქრთამი მისცა.

კაფიევის ჩვენებას პალატა მნიშვნელობას არ აძლევს მიტომ, რომ იგი არის მოწმის მოწმე. ე. ი. იგი არის მოწამე იმ ფრიდონოვის ნალაპარაკევისა, რომელსაც კაფიევის სიტყვით, უთქვამს, რომ სეილანოვმა თავის განთავისუფლებაში მისცა ქრთამი, შუაკაცი იყო კაჩუხაშვილი და ამან მიიღო 25000 მანეთი. ფრიდონოვი დაკითხული არ იყო სასამართლოში, მაშასადამე კაფიევის ჩვენებას ეკარგება ის დარწმუნება, რომ მისი ნათქვამი მართალია, მითუმეტეს სეილანოვმა არ დაადასტურა იგი; მაგრამ სასამართლო პალატას, კაფიევის ლაპარაკი რომ კიდეც იყოს მართალი, ე. ი. იგი კიდეც ეთქვას ფრიდონოვს, რომ კაჩუხაშვილმა 25000 მანეთი აიღო შუაკაცობაზე, მაინც არ მიაჩნია გარემოებათ, რომელიც ბრალდებულ ვეშაპელის მიერ გაზ. „კლდეში" დაბეჭდილ ცნობის სიმართლეს ამტკიცებდეს. ჟურნალისტს კი არა, უბრალო მოაზროვნე კაცსაც კი დაებადება, პალატის აზრით, ეჭვი ნუ თუ ფრიდონოვის ლაპარაკი კაჩუხაშვილის მიერ ქრთამის აღებაზე ქუჩაში, შემთხვევით, სრული სიმართლეა და მართლა კაჩუხაშვილმა ქრთამი აიღო?

ამ მოსაზრებათა გამო პალატა სცნობს, რომ ვეშაპელის მტკიცებანი ამ ნაწილში სიმართლეს არ შეიცავენ, აგრეთვე ოლქის სასამართლოს მოსაზრებანი, რომელნიც ამ ნაწილში იზიარებენ ვეშაპელის მტკიცებას, მოკლებულნი არიან როგორც ფაქტიურს, აგრეთვე იურიდიულ საფუძველს.

2. რაც შეეხება ალიხანოვის ჩვენებას, იმ ალიხანოვის, რომელიც იყო დაპატიმრებული შინების თაობაზე, ამ ჩვენებაში არაფერი დამამტკიცებელი ქრთამის მიცემისა არ არი. პირიქით ალიხანოვმა აჩვენა რომ, მას ქრთამი არ მიუცია", „მარჯვენა გამიხმეს თუ ქრთამი მიმეცეს" და სხვა. მართალია ქელბაქიანი ამტკიცებს, რომ ალიხანოვმა მას უთხრა, რომ განთავისუფლებაზე კაჩუხაშვილმა მიიღო შუაკაცისაგან 7000 მ., მაგრამ ვინ არი ეს შუაკაცი, არ აიხსნა.

3. საოლქო სასამართლომ ივანე ჯაფარიძის შეკითხვა ნაფ. ვექილთა საბჭოში, დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნია მექრთამეობისა. ამ შეკითხვაში ივანე ჯაფარიძე სთხოვს თავის ამხანაგებს. რომ მათ გამოიძიონ ის ამბები, რომელიც დადის კაჩუხაშვილზე, რათა დაცული იქნეს ღირსება ადვოკატისა. სასამართლო პალატამ არ მიიჩნია ეს შეკითხვა დამამტკიცებლად კაჩუხაშვილის მიერ ქრთამის აღებისა. სწორედ ამ შეკითხვის მიზანი იყო, რომ ეს მექრთამეობა გამორკვეოდა და თფილისის ოლქის სასამართლომ კი თავის განაჩენში თვით შეკითხვა საბუთად მიიღო და ლაპარაკობს ივანე ჯაფარიძის პიროვნებაზე, როგორც სანდოზე და ღირსეულზე. ღირსეული და სანდო პიროვნება მიტომაცაა ასეთი, რომ ასეთი შეკითხვები აღძრას, მაგრამ ის გარემოება, რომ სანდო და ღირსეულმა პიროვნებამ თუ შეკითხვა აღძრა მექრთამეობაზე, ეს კიდევ ამას არ ნიშნავს რომ მართლა იგი უკვე დამტკიცებულია და გამორკვევაში აღარ საჭიროებს. მაშასადამე თფილისის ოლქის სასამართლოს მოსაზრებანი და მტკიცებანი ამ ნაწილშიაც უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მოკლებულად ფაქტიურს და იურიდიულ საფუძველს.

შემდეგ თფილისის ოლქის სასამართლო ეყრდნობა აგრეთვე პირდაპირ არა სწორ იურიდიულის მხრივ დებულებაზე, თითქოს სენატის პრაქტიკა ანთავისუფლებდეს პასუხისგებიდან იმ ბრალდებულს, რომელმაც კეთილსინდისიერათ დასწამა ვისმე ცილი. ის განმარტებანი № 40 და 33—1885 წ.—1892 წ. რომელნიც აღნიშნულია განაჩენში, იმაზე ლაპარაკობენ, რომ კეთილსინდისიერებას ხოლოთ პასუხისგებლობის ზომაზე აქვს გავლენა. მაშასადამე ამ ნაწილშიც ოლქის სასამართლოს მოსაზრებანი უნდა ცნობილ იყოს არა სწორად.

მაგრამ თუ გაზ. „კლდეში" დაბეჭდილი ცნობა „კაჩუხაშვილი დაითხოვეს მექრთამეობაზე" და რომ ის იყო ცნობილი „ამ გვარი საქმეებით" როგორც მილიციის უფროსი და ქუთაისის გუბერნატორი", სრული სიმართლე არ არი, არის თუ არა ეს ცნობა სრული სიცრუე და რედაქტორისგან განზრახ შეთხზული კაჩუხაშვილის დასამცირებლად ცილი?

პალატას მიაჩნია რომ, თუ ამა თუ იმ პირის მექრთამეობაზე ლაპარაკობენ სხვადასხვა პირნი, როგორც ვეშაპელის და კაჩუხაშვილის საქმეში, არ შეიძლება ითქვას, რომ რედაქტორმა შეთხზა სიცრუე და, იგი პირად თუ პარტიული ანგარიშის გასასწორებლად, დაბეჭდა. მაშასადამე პალატას არც იმის დადასტურება შეუძლიან, რომ „კლდეში" დაბეჭდილი, შეთხზული სიცრუეა. პალატას განხილვაში რომ ყოფილიყო კაჩუხაშვილის მექრთამეობაზე სისხლის სამართლის საქმე, იმ მასალით, რომელიც ვეშაპელმა წარმოადგინა ამ საქმეში, კაჩუხაშვილი იქნებოდა გამართლებული, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, მაგრამ ბრალდების დაუმტკიცებლობა არ ნიშნავს იმას, რომ ბრალდებული დამნაშავე არ არი.

გაზეთ „კლდეში" დაბეჭდილი წარმოადგენს არა განზრახ სიცრუეს ანუ შეთხზულ და მოგონილ ცნობას, არამედ დაბეჭდილი ცნობა კაჩუხაშვილის მექრთამეობაზე, არის ფუქსავატი დასკვნა იმ მითქმა-მოთქმიდან, რომელიც დადიოდა კაჩუხაშვილზე და ეს მითქმა-მოთქმანი გამეორდა სასამართლოშიაც. ბრალდებული ვეშაპელი პალატაშიაც მხარს უჭერს თავის პირვანდელ აზრსა და ადასტურებს, რომ „კლდეში" დაბეჭდილი ამბავი მექრთამეობაზე სიმართლეა. მაშასადამე ის სხვას კი არ შეცდომაში შეჰყავდა, არამედ ის თვითონ დაასკვნის იმ ფაქტებზე, რომელნიც საკმარის მხილებათ არ შეიძლება ჩაითვალოს კაჩუხაშვილის მექრთამეობისა, უკანასკნელის მექრთამეობის ცილის წამება მაშინაა, როცა რედაქტორმა იცის რომ, ის რასაც ის აქვეყნებს—სიცრუეა. ამ საქმეში კი რედაქტორი ფუქსავატად დარწმუნებულია დაბეჭდილი ცნობის სიმართლეში და მას თავი მოაქვს ჟურნალისტად, რომლის ვალია—სიმართლე სწეროს.

თუ ზემოაღნიშნული ფაქტები არ ამტკიცებს სიმართლეს გაზ. „კლდეში" მექრთამეობაზე დაბეჭდილი ცნობისა, კაჩუხაშვილის ბრალდებაც ჩაითვლება დამტკიცებულად, მაგრამ სასამართლოს პალატას ერთი გარემოება მიაჩნია დამტკიცებულად, რომელსაც აქვს მნიშვნელობა ამ პროცესის გადასაწყვეტად; ეს არის სესიაშვილის მიერ კაჩუხაშვილისთვის 4000 მანეთის გადაცემა, რასაც უკანასკნელიც ადასტურებს. ამ ფულის მოცემა, როგორც ეს ახსნა კაჩუხაშვილმა, გამოიწვია იმ შიშმა, რომელმაც შეიპყრო სესიევი, რომელსაც სპირტის დადგრის გამო, მოსალოდნელი იყო ოქმს შეადგენდნენ და მისცემდნენ პასუხისგებაში. ეს ფული იყო მიცემული მილიციის უფროსის მოსამადლიერებლად. რისთვის იყო ეს ფული მიღებული? ის იყო მიღებული სასარგებლოდ სოც. დემ. პარტიის საოლქო კომიტეტისა და მილიციის ზოგი მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად.

სესიევის მოქმედების სუბიექტიური და ობიექტიური ნიშნები სრულს საბუთს აძლევენ პალატას, რომ ამ მოქმედებას უნდა კვალიფიკაცია, რომელიც აღნიშნულია 376 მუხ. სასჯ. დებულებაში. რაც შეეხება კაჩუხაშვილის მოქმედების კვალიფიკაციას, უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტიურად მის მიერ 4000 მან. აღებაში, ადგილი არ ჰქონია პირად ანგარიშს, რაც დამტკიცდა მით რომ მან ფული მისცა საოლქო კომიტეტს და აჩუქა მოსამსახურეებს. მაგრამ ფულის მიღება, რომელიც, კაჩუხაშვილის ახსნით, მოსამადლიერებელი საშუალება იყო სესიევისთვის, რომ არ მიეცათ ის ბრალდებაში, წარმოადგენს ბოროტ-მოქმედებას, თუნდაც მიღებული ფული კანონიერი მიზნისთვის იყოს გადაცემული.

დაღვარა მართლა სესიევს სპირტი თუ მან სპირტი გაყიდა, ეს გამორკვეული არ არის. მილიციის უფროსს ჯერ უნდა გამოეძია სესიევის საქმე და ვინაიდან მან იგი არ გამოიძია, ვეშაპელსაც და ყველასაც შეეძლო ეფიქრა, რომ 4000 მან. საშუალებით გამოწვეულ მილიციის უფროსის უმოქმედობით, ბოროტმოქმედება არ იქნა გამორკვეული. იმ გარემოებას, რომ კაჩუხაშვილმა ფული გადასცა კომიტეტს ან მოსამსახურეებს საჩუქრად, მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან მის უმოქმედობით დაიფარა ბოროტმოქმედება და კაჩუხაშვილის პოლიტიკურ მოწინააღმდეგე რედაქტორ ვეშაპელს მიეცა კანონიერი უფლება მის მხილების მექრთამეობაში მიტომ, რომ ვეშაპელს ის მომენტი საქმისა, რომ 2000 მან. გადაეცა სოც.-დემ. კომიტეტს, მეტს ეჭვებს აძლევს ეს გარემოება გამოიყენოს და განაცხადოს, რომ სოც.-დემ. მილიციის უფროსი პარტიის ნივთიერ გადონიერებისათვის, ბოროტმოქმედებით აიღო ფულიო. ასევე იტყოდა სოციალ-დემოკრატი თუ მილიციის უფროსათ იქნებოდა ეროვნული პარტიის წევრი ვეშაპელი, და ისიც ასე მოიქცეოდა და ამ საქმიდან აშკარად გამომდინარეობს ის, რომ, მილიციის საქმე არ უნდა იყოს პარტიის სასარგებლოთ შეგრება ფულისა თუ პარტიულ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და ის საერთოთ, რომ, მილიცია უნდა იდგეს პარტიის გარეშე.

შემდეგ სასამართლო პალატას მიაჩნია, რომ ახლა მოყვანილი მოსაზრებანი თუ არ არიან საკმარისნი რომ კაჩუხაშვილმა სესიევისაგან ფულის აღების აღნიშნულ პირობებში ჩაიდინა ბოროტმოქმედება, არ შეიძლება ვეშაპელის გამტყუნება მიტომ, რომ როცა მან გაზ. „კლდეში" თავისი ცნობები დაბეჭდა კაჩუხაშვილის მექრთამეობაზე 10 ნოემბერს 1918 წ., შეუძლებელია მას სცოდნოდა, რომ მიღებულ ფულს 4000 მან. კაჩუხაშვილმა მისცა ის დანიშნულება, რომელიც გამოირკვა და დამტკიცდა მხოლოთ პროცესის დროს. და პროცესის დროს თავის გასამართლებლით ნალაპარაკევს, სენატის განმარტებით, ცილის წამება არ შეიძლება ეწოდოს. ვეშაპელმა იცოდა ის, რომ ფული იყო მიცემული, ბოროტმოქმედების დასაფარავად, მაგრამ არ იცოდა, რომ ფული მიეცა კომიტეტს. იმ დროს და იმ გარემოებაში მას როგორც ჟურნალისტს ჰქონდა, პალატის აზრით, სრული უფლება კაჩუხაშვილის მოქმედებისათვის ეწოდა მექრთამეობა და იგი დაებეჭდა, რადგანაც ამ ფულის ანგარიში არ გამოქვეყნებულიყო მაშინ და არც თურმე შეიძლებოდა მისი გამოქვეყნება, მიტომ რომ კაჩუხაშვილმა 2000 მან. კომიტეტს გადასცა როგორც შემოწირულება „უცნობისაგან". რა საკვირველია ამ შემთხვევაში არ არის ის ფუქსავატობა დასკვნებში ვეშაპელის მხრივ, რომელიც მან გამოიჩინა სხვა გარემოებათა კვალიფიკაციაში, როგორც ეს იყო აღნიშნული ზევით.

მაშასადამე ამ ნაწილში ბრალდება უსაფუძვლოა და ოლქის სასამართლოს განაჩენი უნდა დამტკიცდეს.

ზემოხსენებულ მოსაზრებათა საფუძველზე, სასამართლო პალატამ საბოლოო დასკვნა ოლქის სასამართლოსი ვეშაპელის გამართლების შესახებ გაიზიარა და 892 მუხ. ს. ს. წ. წ. დაადგინა: თფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი დამტკიცდეს და აპელიაციური საჩივარი კერძო ბრალმდებლის ივანე კაჩუხაშვილისა დარჩეს უშედეგოთ.

დედანთან სწორია: მდივნის თანაშემწეს მაგიერ კიკნაძე.

განცხადებანი

სამართებლები
„ჟილეტ"
ნამდვილი ამერიკული სასწრაფოთ იყიდება
შეღავათიან ფასებში ბითუმად და ცალობით ა. ზაზიხის
ინგლისურ მაღაზიაში
რუსთაველის პრ. № 20, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (1003 6—4)

ნამდვილი ინგლისური
შაბიამანი
გაგზავნით აწვდის მსურველს კანტორა „ხერმეტ" ქ. ბაქო მერკურევის ქ. № 10; ტელეგრამის ადრესი: ბაქო „ხერმეტი" ტელეფ. 43—35, 24—28. ფირმას ჰყავს თავის წარმომადგენელი ქ. ბათუმში, მისამართი: ქ. ბათუმი, „ოტელ პალასი" ვაშლომიძე. (1097 3—1)

ხელსაქმის მასწავლებელი ქალი
ასწავლის ჩულქებისა და წინდების განახლებას. მისამართი: სასამართლოს ქ. № 33, ბინა 7. (1100 1—1)

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს შინაგან, ბავშვთა და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე ნაშუადღევის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლაევის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—18. 119—ო.)

ექიმი
დოქ. კოხტ, მე ერისთავი
(ოტოლარინგოლოგი)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (თ. 581)

ექიმი
ქ. ბ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი "606" და 914" შეშხაპუნება). მიიღებს: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სერგიევის ქ. № 9 ვერცხლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 548)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, [illegible] და ნერვიული სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 2. (471)

ელექტრო-მედიცინის ყოფ. ასისტენტი ბერლინის და ნიუ-იორკის უნივერსიტეტების კლინიკებისა
მ. ზ. მეზრაგიანი
შინაგანი ავადმყოფობა, შლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წყალსხმის კაბინეტში. განიკურნება წამლით და X-ს სხივებით. შლექების ამერიკულ-ინგლისური მეთოდით. ყოველ დღე დილის 8—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს აქვთ მიღება უფასოთ. (თ. 636

ექიმი ნ. ა. [illegible]
სპეციალისტი [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914" [illegible] (ტრიპერი) და [illegible] სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 22

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—26. (154—თ.)

კერძო სამკურნალო
ექ. ე. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კიროჩნ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87 მიღება ყოველდღე სნეულებიან ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახსროებისათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.
იღებენ ექიმები
ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. გ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგ. ავადმყ. და მიკრო—ხიმ. ანალიზი.
ა. გ. მაჰვარიანი—ხირურგ. ავადმყ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. თოუმბოვსკი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.
გ. დ. შალამბერიძე—ქალის ავადმყ. და საბებიო.
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის. შარდის, განა-ვალის და სხვ. (თ. 009)

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველდღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საბებიოთ ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი დ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 27, ალექსანდრეს ბაღის ახლოს.

მოქალაქეთა საყურადღებოთ
დ. ზ. სარაჯიშვილის
ქარხნის მუდმივ მუშტრების საყურადღებოდ
კონიაკი, სპირტი და არაყი
იყიდება ბითუმათ და ცალობით საქარხნო ფასებში ე. ი.
4 ვარს. კონიაკი 1/20 ვედ. 110 მ. 1/40 60 მ. უბოთლოთ.
O. C. კონიაკი 1/20 ვედ. 130 მ. 1/40 70 მ. უბოთლოთ.
არაყი ბოთლი 65 მან. უბოთლოთ. თითო ბოთლის გირაო ცალი 20 მანეთი.
გამოწერა შეიძლება არანაკლები 3 ვედრისა ან 60 ბოთლის სხვადასხვა სასმელებისა. ყუთი თავის ჩალაგებით ღირს 150 მან. მსურველმა უნდა გამოგზავნოს პატენტი მაგარი სასმელებისა და შეკვეთილი სასმელების ფული შემდეგი მისამართით: თფილისი, თავისუფლების მოედანი, პასაჟი თამამშევის სავაჭრო ნიკიფორე დავითის ძე კიჩეუმაძე. ტელეფონი № 13—93 დაწვრილებით ცნობას ვაძლევთ ფოსტით.
(1105—3—1)

სასწორები მაგიდის, ათეულადი, ასეულადი იყიდება
კიევის ი. მ. ანდრონიკოვის სასწორების ქარხნის თფილისის 1 განყოფილებაში. მიიღება აგრეთვე ზემოხსენებული სასწორები შესაკეთებლად და შესამოწმებლად სახელმწიფო დამღის დასმამდე. მისამართი: პლეხანოვის პრ., № 108. (1107—1—1)

ღვინის, გასტრონომიული და საბაკალეინო მაღაზიების მეპატრონეთა
კავშირის გამგეობა
წინადადებას აძლევს კავშირის წევრებს
და ყველა იმ საწვრიმალო-საბაკალეინო დაწესებულებათა მეპატრონეებს,
რომელთაც სურვილი აქვს
სისტემატიურად მიიღონ შეღავათით
თამბაქოს ქარხნებიდან სხვადასხვა ხარისხის თამბაქოს ნაწარმოები, გამოცხადდენ თამბაქოს პატენტით სარეგისტრაციოთ კავშირის გამგეობაში დილის 10—2 საათ. (პუშკინის ქ. 5 პასაჟი). რეგისტრაციის უკანასკნელი ვადა არის 1 აპრილი. გამგეობა.
(1106—1—1)

საჭიროა
გამოცდილი მზარეული
რომელმაც უნდა მოამზადოს ყოველ დღე 200 სადილამდე კოოპერატიული სასადილოს წევრთათვის თავის ხარჯზე. პირობების გაცნობა შეიძლება გამგეობის თავმჯდომარესთან ნიკო დანდუროვთან: ქალაქის აგენტების კანტორა მე-5-თე უბნის თათრის მოედანი 8—10 საათ. დილით. (1102—1—1)

სახლი მამული, აგარაკი, ნავთის მაღნიანი და ზღვის პირად მდებარე ადგილები, საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებანი, ზავოდები, ფაბრიკები და ყოველგვარი ფასიანი ნივთები ვისაც სურს სწრაფად და მოგებით იყიდოს ან გაყიდოს, ქ. თფილისში და მთელ ამიერ კავკასიაში მიმართოს, ინტელიგენტთა ჯგუფს, რომელსაც საუცხოვოთ აქვს მოწყობილი კლიენტურა. დიდია მიწოდება და მოთხოვნილება. მისამართი დავითის ქუჩა № 3. ბინა 2, ტელეფონი 2—28 თფილისის და საქალაქთაშორისო. დილის 11—2 საათ. და საღამოს 5—7 საათ. (1101—1—1)

ამხანაგურ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა, გოგოლის შესახვევი № 1.